ახალი განათლება

2014 წელი, 9-15 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№29 (663) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ცხოვრებაში ყველა მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილება რეალიზებადია

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია
დარინა გამხიტაშვილი, რეგენსბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი

გვერდი 8-9

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხთან დაკავშირებით, არაერთმა სტუდენტმა და სტუდენტური თუ სხვა პროფილის ორგანიზაციამ მიმართა.

ვინაიდან ამ საკითხის მიმართ ინტერესი დიდია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაინტერესებულ სტუდენტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფთან გამართავს შეხვედრას.

მიმდინარე კვირაში მინისტრი სამუშაო ვიზიტით იმყოფება საზღვარგარეთ. შესაბამისად, აღნიშნული შეხვედრა მომავალ კვირას გაიმართება. შეხვედრის ორგანიზების მიზნით, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსს, ვალერი გოგრონიძეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზზე: 2 200 220.

„წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

შეკითხვები და პასუხები გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „ბუნბულა“

გვერდი 2

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს ხელმოწერა

3 ლარი

5.50 ლარი

5.50 ლარი

6 ლარი



3 ლარი

6 ლარი

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, ულრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში.

ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:

599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

გვერდი 2

ინფორმაცია

ლეონარდო და ვინჩი 2014 იწყება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ნორჩ გამომგონებელთა კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი 2014“ აცხადებს.

საკონკურსო პროგრამის დეტალებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **მარინე ჩიტაშვილმა** ისაუბრეს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. მსურველებს ნამუშევრების ელექტრონული დარეგისტრირება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და რუსთაველის ეროვნული ფონდის ვებ გვერდებზე – www.mes.gov.ge; www.rustaveli.org.ge – 8 ოქტომბრიდან შეეძლებათ. წარმოდგენილი პროექტი უნდა მოიცავდეს გამოგონების როგორც ტექსტუალურ აღწერილობას, ასევე შესაბამის მაკეტს, მოდელს ან ნახაზებს. ელექტრონული რეგისტრაცია – 3 ნოემბერს, ხოლო ნამუშევრების წარდგენა ფონდში 13 ნოემბერს დასრულდება.

კონკურსის გამარჯვებულებს კომპეტენტური ჟიური 6 დეკემბერს დაგეგმილ გამოფენაზე გამოავლენს.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების ავტორები ფულადი პრემიებითა და სპეციალური საჩუქრებით დაჯილდოვდებიან. I ადგილზე გასული პროექტის წარმომდგენს – 5000 ლარი გადაეცემა, II ადგილზე – 3 000 ლარი, III ადგილზე – 2 000 ლარი. გრან-პრის მფლობელი პროექტის ავტორი ან ავტორები კი შემეცნებითი ტურით საზღვარგარეთ გაემგზავრებიან.

კონკურსის გამარჯვებული ოთხივე პროექტის ავტორი, გაზაფხულზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება, სადაც საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებენ ინტელის საერთაშორისო სამეცნიერო-საინჟინრო გამოფენაში – Intel ISEF.

კონკურსი გამოავლენს და წაახალისებს შემოქმედებითი აზროვნების, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს და ხელს შეუწყობს მათი ინოვაციური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

წარჩინებული მოსწავლეები ლეპტოპებით დასაჩუქრდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** თბილისის საჯარო სკოლების 323 მეათეკლასელი პერსონალური კომპიუტერებით დაასაჩუქრა.

წელს, საქართველოს მასშტაბით, კომპიუტერებით სულ 1626 წარმატებული მოსწავლე დაჯილდოვდება. 2014 წელს, პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც გასულ სასწავლო წელს საბაზო საფეხური დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი, დამრგვალების გარეშე, 10 ქულაა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოსწავლეთა წახალისების პროექტი ყოველწლიურად ხორციელდება. მისი მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება. თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები. გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

ინტელექტუალური ვიქტორინა

„წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ აგრძელებს ვიქტორინას „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო,

ამჯერად გიორგი ლეონიძის საინტერესო მოთხრობის – „ბუნბულას“ პასუხებს წარმოგიდგენთ და წასაკითხად იმავე მწერლის კიდევ ერთ, მეტად საინტერესო ნაწარმოებს შემოგთავაზებთ სათაურით – „ნიშარძეულის წყალი“.

შეკითხვები და პასუხები გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „ბუნბულა“

შეკითხვა: ვინ იყო ბუნბულა?
პასუხი: დალაქი.
შეკითხვა: რისი თქმა არ დაავიწყდებოდა სიტყვის თქმისას ბუნბულას?
პასუხი: „ჩემი ბატონი ხარ“.
შეკითხვა: დალაქის აზრით, სიგიჟით მოგებული რასთან არაფერი იყო?
პასუხი: სინდისით მოგებულთან.
შეკითხვა: რამდენი შვილი ჰყავდა ბუნბულას?
პასუხი: 12.
შეკითხვა: ბუნბულა პოლიტიკოსებს საქმიანობას რატომ უწუნებდა?
პასუხი: პოლიტიკოსებს ომი უყვართო. ომის გამო
შეკითხვა: რომელმა ისტორიულმა მოვლენამ გამოიწვია ბუნბულას ცვლილებები?
პასუხი: პირველმა მსოფლიო ომმა.
შეკითხვა: საწყალ დალაქს გულწრფელად რისი სჯეროდა?
პასუხი: კეთილ ადამიანთა ნების შეერთების ძალა.
შეკითხვა: სიმართლისა და მშვიდობის მაძიებელი დალაქი რით იყო გაოცებული?
პასუხი: ადამიანთა ბუმადურობით.
შეკითხვა: ავტორის ბიძასთან ღვინის სმისას რა თქვა ბუნბულამ, რატომ წავიდა ქალაქში, ვისი შველა უნდოდა?
პასუხი: ხალხის შველა უნდოდა.
შეკითხვა: იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა. მერე რისთვის?
პასუხი: კაცობრიობის გულისთვის!

მაშ ასე, მომდევნო ნაწარმოებია **გიორგი ლეონიძის „ნიშარძეულის წყალი“.** დარწმუნებულები ვართ მისი წაკითხვით ისიამოვნებთ.

შეკითხვები მოთხრობიდან გამოქვეყნდება მომდევნო ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს.

დარწმუნებულები ვართ გახსოვთ, რომ ვიქტორინას **ერთადერთი პირობა** აქვს – **კონკურსანტი სკოლის მოსწავლე უნდა იყოს.**

შეგახსენებთ, რომ პროექტის პარტნიორები არიან:

❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, პოეტი, ესეისტი **გიორგი კეკელიძე**;

❖ საინფორმაციო მხარდამჭერია გაზეთი „ახალი განათლება“, გაზეთის რედაქტორი – **მარიკა ჩიქოვანი**;

❖ სატელევიზიო გადაცემა „რა? სად? როდის?“;

❖ „საქართველოს ოლიმპიური კლუბი“, პრეზიდენტი – **კახი კახიაშვილი**;

❖ პრიზები დააწესა „ელფის“ გამომცემლობამ, დირექტორი – **თინათინ დიდებულიძე.**

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ წარმატებას გისურვებთ

ვიქტორინაში მონაწილეობის მისალებად ეწვიეთ საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ფეისბუქ-გვერდს

ეროვნული გამოცდები

უცხოური ენების ტესტი მომავალ წელს არ გართულდება

გვესაუბრება რუსუდან ტყემალაძე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი

– წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხოური ენების ტესტს მოსმენის ნაწილი დაემატა. როგორ გაართვეს თავი აბიტურიენტებმა ამ სიახლეს და როგორი იყო შედეგი?

– ჩვენი აბიტურიენტების 80% ინგლისურ ენას აბარებს, მაგრამ ტესტის ფორმატი საერთოა ოთხივე ენისთვის. წელს უცხოური ენების გამოცდამ ძალიან კარგად ჩაიარა. რომ არ დაგიმალოთ, ვშიშობდით, რადგან ორი ახალი დავალება გვქონდა ტესტში. აქედან მოსმენა მნიშვნელოვანი სიახლე იყო, ეს საკმაოდ რთული უნარია. ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩანაწერის ხარისხს. ვღელავდით, ტექნიკას არ ეღალატა და ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, რომ ყველაფერი კარგად ჩატარებულიყო. ჩვენდა სასიხარულოდ, ნამდვილად კარგი შედეგი იყო. შედეგში ორ რამეს ვგულისხმობ: პირველ რიგში, აბიტურიენტებმა თვითონ დავალებას გაართვეს ძალიან კარგად თავი. ვერ ვიტყვი, რომ ასიდან ასივემ წარმატებას მიაღწია, მაგრამ როგორც ტესტის სტატისტიკა ამბობს, თუ ასიდან, დაახლოებით, 5-6-მა გააკეთა, ეს უკვე კარგ შედეგად ითვლება, ანუ ტესტი დაბალანსებულია. დაახლოებით, ასეთივე შედეგი გვქონდა ჩვენ. საინტერესოა, რომ მოსმენის დავალებაში ისეთივე სურათი იყო, როგორც, ტრადიციულად, გვაქვს წაკითხულის გააზრებაში, რაც, ასე თუ ისე, გამოსდით აბიტურიენტებს.

მეორე მხრივ, მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენი ლოჯისტიკისა და ტექნიკურ დეპარტამენტებს, სწორედ მათ უზრუნველყვეს, რომ უცხოური ენების გამოცდაზე მოსმენის ნაწილი ხარისხიანად ჩატარებულიყო, ჩვენი ჯგუფის წევრებმაც კარგად იმუშავეს.

მთლიანობაში, ტესტის საშუალო ქულა და სირთულის კოეფიციენტი იგივეა, რაც შარშან და შარშანწინ, ეს კარგია. რადგან ორი ახალი დავალება იყო, საშუალო ქულა შეიძლებოდა ნაკლები ყოფილიყო, მაგრამ მაინც 50-52-ის ფარგლებში იყო.

– მომავალი წლისთვის ისევ ხომ არ უნდა ელოდენ აბიტურიენტები რაიმე ცვლილებას?

– დიდი ცვლილება აღარ იქნება, მაგრამ გვინდა უმნიშვნელოდ გავზარდოთ მოსმენის ნაწილი. როგორც მოგეხსენებათ, იყო 8 დავალება, ანუ 100 ქულიდან მოსმენას 8 ქულა ეკუთვნოდა, რაც მიზერულია. ეს გადაწყვეტილება უფრო იმიტომ იქნა მიღებული, რომ ფსიქოლოგიური ბარიერი არ შექმნოდათ აბიტურიენტებს და მოსამზადებლადაც უფრო იოლი ყოფილიყო. მომავალი წლისთვის მოსმენას ვამატებთ 2 ქულას/2 საკითხს და თუ იყო 8 ქულა, მომავალ წელს ტესტის ეს ნაწილი 10-ქულიანი გახდება, იმავე ფორმატისა და სტილის, რაც წელს იყო, ანუ დიდად არაფერი შეიცვლება. გრამატიკას მოაკლდება 2 ქულა/2 საკითხი და ამგვარად კიდევ უფრო დაბალანსდება ტესტი.

მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი კარგი საერთაშორისო ტესტი არსებობს, პროფესიულად შექმნილი და აპრობირებული, როგორც ამერიკული, ასევე ბრიტანული და მოსმენა ამ ტესტების მნიშვნელოვანი ნაწილია, მას ტესტის 25% უკავია. ჩვენთან 10%-ია, მაგრამ ჩვენთვის ესეც დიდი წარმატება და წინგადადგმული ნაბიჯია.

არ მეგულება აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების საგამოცდო ცენტრები, სადაც იმ მასშტაბით ხდებოდეს მოსმენის ნაწილის გამოცდა, როგორც ჩვენთან – 40 000-მდე ადამიანი. ახლა ჩამოვედი თურქეთიდან და იქაც უმაღლესში მისაღები ტესტი გრამატიკაზე და წაკითხულის გააზრებაზეა აგებული, ლაპარაკიც კი არ არის მოსმენაზე. აქედან გამომდინარე, ეს სიახლე ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

ცენტრში ხშირად რეკავენ და გვეკითხებიან – ხომ არ დაემატება გამოცდას ე.წ. ლაპარაკის ნაწილი. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ არ დაემატება, ასე რომ, ნუ შეშინდებიან აბიტურიენტები. ლაპარაკის შეტანა არ არის ასე მარტივი, ჯერ სკოლებში უნდა განვითარდეს ამის სწავლება და მომავალში – რატომაც არა, კიდევ უფრო მეტ სიახლეს შემოვიტანთ, მაგრამ არა მომავალ წელს.

– რამდენად რთული იყო, ტექნიკურად, მოსმენის ნაწილის მომზადება?

– ჩანაწერების ხარისხი იყო ძალიან კარგი. ჩვენს ცენტრში მოგვყავს უცხოელები და აქვე ვიწერთ მოსმენის დავალებებს. წინასწარ ვავარჯიშებთ კითხვაში, რეპეტიციასავით ვატარებთ, რომ კითხვის ტემპი არც ძალიან სწრაფი იყოს და არც ზედმეტად ნელი, მორგებული იყოს ჩვენს მოთხოვნებს.

მომავალში, ვაპირებთ, უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ უნივერსიტეტებთან და ჩვენი საგამოცდო პროგრამა და ფორმატი მათთანაც იყოს შეთანხმებული. ერთიანი ეროვნული გამოცდა აბიტურიენტს საუნივერსიტეტო განათლებისთვის ამზადებს, ამიტომ ჩვენ შორის მანძილი, სივრცე უფრო ახლო უნდა გახდეს და ეს ურთიერთობა მათთვისაც საინტერესო იყოს და ჩვენთვისაც. მე ჯავახიშვილის უნივერსიტეტშიც ვმუშაობ და კოლეგები მეუბნებიან, რომ ძალიან კარგი ნაბიჯი იყო მოსმენის დამატება, რადგან ეროვნული გამოცდების შედეგად მათთან მისულ სტუდენტებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს უნარი არ ჰქონდათ გამომუშავებული. ასე თუ ისე კითხულობდნენ, წერდნენ (რასაც ითხოვდა ჩვენი ტესტი), მაგრამ ძალიან სუსტები იყვნენ მოსმენაში. ფაქტობრივად, იგნორირებული იყო. როდესაც ამას შენი კოლეგა, უნივერსიტეტის ლექტორი გეუბნება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი. ჩვენ მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი – მოსმენის ნაწილი რომ დავამატეთ – მათი მხრიდან პოზიტიურად შეფასდა, ძალიან დადებითი გამოხმაურება მივიღეთ უნივერსიტეტებიდან.

არ დაგიმალავთ, რომ ეს უცხოური ენების ჯგუფის უდიდესი შრომის შედეგია – ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს ვწონით, ყოველ დავალებას ათასჯერ ვამოწმებთ, რომ რამე არ გამოგვეპაროს, რომ შესაფერისი სირთულის იყოს – არც ძალიან მარტივი და არც ძალიან რთული. მართლაც ძალიან ბევრს ვშრომობთ.

– წელს კიდევ ერთი ახალი წერითი დავალება იყო

– დიახ, წელს დავამატეთ კიდევ ერთი წერითი დავალება – წერილი. უცხოური ენების საგამოცდო დავალებებში არის ერთი თემა, ტრადიციული, რაც 2005 წლიდან იყო, ამას დაემატა პატარა წერილი – პასუხი განცხადებაზე. ვიფიქრეთ, რომ ეს ძალიან პრაქტიკული დავალება იქნებოდა – რადგან ჩვენი აბიტურიენტები 18 წლისანი არიან, ზოგი სამსახურს ეძებს, ზოგი რაღაც კურსებს, სხვადასხვა ძიებაში არიან, რა აკეთონ. ეს დავალება დაეხმარება მათ, უპასუხონ განცხადებას, ვთქვათ სამუშაოს ან რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

დავალებას რომ ვამუშავებდით, ვფიქრობდით, რომ ბავშვებს პრაქტიკულ უნარს გამოუმუშავებდა. ეს არ არის მხოლოდ ტესტური დავალება, ეს უნარი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ და უფრო კარგად დაწერენ პატარა, საქმიან, ნახევრადფორმალურ წერილს. მინდა გითხრათ, რომ ტესტის ამ ნაწილსაც მშვენივრად გაართვეს თავი. რა თქმა უნდა, იყო სუსტი ნაწერებიც, ასევე ცარიელი ფურცლებიც (ასეთი რამ ყოველთვის არის), მაგრამ სტატისტიკურად რომ ვითვლით, ანალიზის მიხედვით, შედეგი ძალიან ნორმალური იყო.

– როგორ წარიმართა გასწორების პროცესი?

– წელს130 გამსწორებელი გვყავდა, ისინი 3 კატეგორიად იყვნენ დაყოფილი: თემის გამსწორებლები; წერილის გამსწორებლები; წაკითხულის გააზრებისა და გრამატიკის დავალებების გამსწორებლები. ძალიან კარგი გამსწორებლები გვყავს. სისტემა ისეთივეა, როგორც სხვა საგნებში – როდესაც პირველი და მეორე გასწორება განსხვავებულია, ჩართულია მესამე გამსწორებელი. ამიტომ აბიტურიენტების დავალებები მაქსიმალური სიზუსტით სწორდება, ამას ისიც ემატება, რომ ჩვენთან გასწორებული ტესტები ქვეყნდება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს – აბიტურიენტს, მასწავლებელს, მშობელს – შეუძლია ნახოს. ამიტომაც აპელაციების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, წელს 35 000-მდე აბიტურიენტი იყო და მხოლოდ 400-მდე სააპელაციო განაცხადი შემოვიდა, შესაბამისად გადასწორების კოეფიციენტიც ძალიან დაბალი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გამსწორებლებმა კარგად იმუშავეს.

სირთულის მხრივ, ენობრივად, უცხოური ენების ტესტი მომავალ წელს არ გართულდება. ჩვენი ტესტი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის ფარგლებში, მაგრამ მრავალფეროვნება ყოველთვის სასურველია.

ძალიან მიხარია, რომ როგორც აბიტურიენტები, ასევე ჩვენი კოლეგები გვეუბნებიან – დიდი მადლობა, ძალიან კომფორტული ტესტი იყო. კომფორტული იყო იმიტომ, რომ დავალებები მრავალფეროვანია, თემატიკა – აბიტურიენტებისთვის საინტერესო. ყურადღებით ვუსმენთ ყველას აზრს, ვინც რაიმე რჩევას ან რეკომენდაციას გვაძლევს და, შეძლებისდაგვარად, ვითვალისწინებთ.

ესაუბრა
ლალი თვალაბეიშვილი

ინფორმაცია

ევროპულ კვლევით პროექტებში ქართველი ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების მონაწილეობის ზრდა იგეგმება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე**, იტალიაში, ქალაქ ტრიესტეში, თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნას ესწრებიან. მასში მონაწილეობენ მსოფლიოს წამყვანი კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები, იტალიის პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატები, ათამდე ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრები, UNESCO-ს, CERN-ის გენერალური დირექტორები და სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები.

სიმპოზიუმის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს დელეგაციის შეხვედრა იუნესკოს გენერალურ მდივანთან **ირინა ბოკოვასთან** და ცერნის ბირთვული კვლევების ხელმძღვანელობასთან, რომელზეც ცერნში საქართველოს ასოცირებული წევრობის პერსპექტივები განიხილება. შედგება მოლაპარაკება ევროპულ კვლევით პროექტებში ქართველი ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების მონაწილეობის ზრდაზე. განსაკუთრებული ყურადღება თეორიული ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებებს მიექცევა.

იუნესკოს გენერალურმა მდივანმა ირინა ბოკოვამ გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერებამ, თანამედროვე ეტაპზე, სახე იცვალა და მოიშალა საზღვარი ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებებს შორის. მან ასევე ისაუბრა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების ხელმისაწვდომობას განვითარებადი ქვეყნებისათვის.

სიმპოზიუმის ფარგლებში განიხილება მეცნიერების განვითარების სამომავლო პერსპექტივები და კონკრეტული ამოცანები მსოფლიოში მეცნიერების განვითარაზე. განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა განვითარებადი ქვეყნების ჩართულობა მეცნიერების დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში და თანამედროვე კვლევით საქმიანობაში მონაწილეობისთვის.

სამოქალაქო განათლება

მომავლის თაობა

მაკა ყიფიანი

1 ოქტომბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, სამოქალაქო განათლების ახალი პროგრამის „მომავლის თაობის“ პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამა ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორები არიან: კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი; სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი და 11 რეგიონული პარტნიორი ორგანიზაცია. პროგრამა საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს და, სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, 480 სკოლას გაუწევს დახმარებას. სკოლები მიიღებენ დამხმარე სახელმძღვანელოებს, იგეგმება პედაგოგთა გადამზადება, მხარდაჭერა სასკოლო სამოქალაქო კლუბების შექმნისთვის, მოსწავლეთა ხელშეწყობა სკოლისა და საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში და სხვა საქმიანობა სამოქალაქო განათლების გაძლიერების მიზნით.

შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**; აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის მისიის დირექტორი **სტივენ ჰეიკინი**. სკოლებში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ისაუბრა პროგრამის „მომავლის თაობა“ დირექტორმა, **მარინა უშვერიძემ**: *„მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო განათლება რამდენიმე წელია სკოლებში შევიდა, მაინც ახალ დისციპლინად ითვლება. ძალიან ბევრგან სამოქალაქო განათლება აღიქმებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი საგანი. საერთაშორისო დონორები დიდ ძალისხმევას იჩენენ, რათა სკოლებში გაუმჯობესდეს სამოქალაქო განათლების სწავლება და, რაც მთავარია, მოსწავლეებმა პრაქტიკაში დაიწყონ ამ საგნის გამოყენება. ორგანიზაცია „PH International-საქართველომ“ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ახლახან დაასრულა ოთხწელიწადნახევრიანი სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა. პროგრამამ დასახულ მიზნებს მიაღწია: მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოეყენებინათ და განევითარებინათ სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები. მიღწეული დადებითი შედეგები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ახალი პროგრამის – „მომავლის თობა“ დაფინანსების წინაპირობად იქცა. პროგრამა 480 სკოლაში ამოქმედდება და სამი წლის მანძილზე გაგრძელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, ის ხელს შეუწყობს სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის გაძლიერებას სკოლებში და მოსწავლეების მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. პროგრამა ხელს შეუწყობს, ასევე, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდას. ახალი პროგრამის განხორციელებას ორი დიდი და მნიშვნელოვანი მიზანი აქვს: პირველი – სკოლებში სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; მეორე – სამოქალაქო განათლების გაძლიერების მიზნით ხელი შეეწყოს სამოქალაქო საზოგადების როლის გაზრდას გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისათვის. საქართველოს მასშტაბით, პროგრამის ფარგლებში, აკრედიტებული ტრენინგ-კურსით 480 პედაგოგი გადამზადდება; პედაგოგები გაივლიან ტრენინგებს სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს გამოყენებისთვის. მათ პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მიეცემათ – გაიმართება მრგვალი მაგიდა, ღია გაკვეთილები, შეიქმნება პროფესიული გაზიარების ჯგუფები; მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების გამოყენება პედაგოგების მიერ. ამ მიმართულებით, პედაგოგებისთვის ჩატარდება ტრენინგები, რათა მათ ისწავლონ ბლოგების წარმოება და თავიანთი პორტფოლიოების ატვირთვა ბლოგებზე; წლიურ სამოქალაქო კონფერენციებზე და გამოფენებზე, რეგიონების მიხედვით, გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან საუკეთესო პედაგოგები. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, გაძლიერდება, რადგან ეს არის ჩვენი ახალი პროგრამის ერთ-ერთი ხერხემალი.*

ვინაიდან სამოქალაქო ჩართულობის კუთხით, ყოველდღიურად იზრდება სოციალური მედიის როლი, ამიტომ მოსწავლეებთან აქტიურად ვიმუშავებთ სოციალური მიმართულებით; დაფინანსდება მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პროექტები, რომლებიც სკოლის და საზოგადოების საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული; ხელს შევუწყობთ სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბებას; საზოგადოებისთვის აქტიური საკითხების განხილვის მიზნით, მოეწყობა მოსწავლეების შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან; ასევე მოსწავლეები სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკებში გაემგზავრებიან.

პროგრამაში ჩართული ყველა სკოლა მიიღებს სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოს. აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სექტორის სკოლები სახელმძღვანელოებს შესაბამის ენებზე მიიღებენ; სკოლებს დავეხმარებით ტექნიკით და სხვა საჭირო რესურსებით, ხელს შევუწყობთ საკლასო პროექტების განხორციელებას, წარმატებული სკოლები მიიღებენ გრანტს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის. აქტიურად იმუშავებს სამოქალაქო ინიციატივების ვებპორტალები – www.sivics.ge, www.initiatives.ge, სადაც მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის აიტვირთება ბევრი სასარგებლო და საჭირო ინფორმაცია.

სამომავლოდ, პროგრამის ფარგლებში, იგეგმება ავტორთა ჯგუფის მიერ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს გრიფზე წარდგენა. საქართველოში ჩამოვა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც იმუშავებს სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამის რევიზიაზე; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებისა და სამოქალაქო განათლების ქართველი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარების მიზნით იგეგმება ვიზიტი აშშ-ში.

ზემოთ ჩამოთვლილი გეგმების განხორციელება იმედს გვაძლევს, რომ ერთობლივი ძალებით მივაღწევთ დასახულ მიზანს, რასაც ინფორმირებული და პასუხისმგებლობის მქონე მომავლის თაობის აღზრდა ჰქვია“.

ლია გიგაური, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„სასიხარულოა, რომ აშშ-ს მთავრობის დაფინანსებითა და ხელშეწყობით ვაგრძელებთ გრანდიოზულ პროექტს – „მომავლის თაობა“. მოგეხსენებათ, სამოქალაქო განათლების პროგრამა საქართველოს 740 სკოლაში მუშაობდა და წარმატებებს მივაღწიეთ. პირველად, სწორედ ამ სკოლებში გაჩნდა სამოქალაქო განთლების კლუბები, რომლებიც არა მხოლოდ მოსწავლეებს ეხმარებოდნენ ამ საგანში წარმატების მიღწევაში, ზოგადად მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაზე იყვნენ აქცენტირებულნი. საქართველოს განათლების სისტემას აქვს ასეთი დოკუმენტი – „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს, თუ როგორი მოქალაქეების აღზრდა გვინდა. დოკუმენტი 10 წელია არსებობს და მისი ერთ-ერთი ღერძი ეკონომიკურად, სოციალურად აქტიური, პასუხისმგებლობის მქონე, კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდაა. ასეთი მოქალაქეების აღზრდას სჭირდება სისტემის მომზადება სამოქალაქო განათლების მიმართულებით. პროცესში არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია გვეხმარება. საბოლოო შედეგის მიღწევამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ამიტომ ამ საქმეში შეტანილი თითოეული ადამიანისა თუ ორგანიზაციის წვლილი უმნიშვნელოვანესია. მივესალმები პროგრამის დაწყებას. სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტია და მოხარული ვართ, რომ კიდევ გვეძლევა თანამშრომლობის შანსი“.*

სტივენ ჰეიკინი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის მისიის დირექტორი: *„მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად ვზეიმობ ახალი პროგრამის – „მომავლის თაობა“ დაწყებას. პროექტი გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისეთ ახალ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სწორი ინვესტიციის ჩადება სამოქალაქო განათლების სფეროში, ახალგაზრდების განათლების მიზნით. ამ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნის წყალობით, ჩვენი მოსწავლეები შეძლებენ ჩამოყალიბდნენ ისეთ პიროვნებებად, როგორიც სჭირდება მომავალ დემოკრატიულ საქართველოს, სწორედ ისინი გახდებიან ის ლიდერები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები თუ სხვა საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც საქართველოს აგრერიგად გამოადგება. სამოქალაქო განათლების დანერგვა საქართველოში გზას გაუკვალავს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც აქვთ პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, სურთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და იგრძნონ პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედზე. ვუსურვებ პროექტს დიდ წარმატებას და მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა ვესტუმრები საკლასო ოთახებს, სადაც სწავლება პრაქტიკულად წარიმართება. პირადად შევხვდები იმ ქართველ მოსწავლეებს, რომლებიც საქართველოს მომავალს უყრიან საფუძველს. დიდი მადლობა განათლებისა და მეცნიერებს სამინისტროს პროექტის მხარდაჭერისთვის, რადგან მისი ხელშეწყობით გახდა სამოქალაქო განათლება საქართველოს საშუალო განათლების სისტემის ნაწილი. სამინისტრო ასევე დიდ დახმარებას გვიწევს სამოქალაქო განათლების კურიკულუმის ჩამოყალიბებაში და რეგიონული ცენტრების განვითარებაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს დავუჭერთ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს ქსელის გაძლიერებაში და, ზოგადად, ამ სფეროს მაქსიმალურად განვითარებაში“.*

შეხვედრაზე თბილისის 45-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, სამოქალაქო განათლების პედაგოგმა და ამავე სკოლის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა სტუმრებს პრაქტიკაში განხორციელებული ინიციატივებისა და პროექტების შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

მზია გელაშვილი, 45-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ვისაუბრო იმ კარგ საქმეებზე, რომელსაც ჩვენს სკოლაში, ჩვენთან ერთად, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ამერიკული ორგანიზაცია PH International ახორციელებდა. მოგეხსენებათ, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები მოსწავლეს*

სამოქალაქო განათლება

უყალიბებს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სამოქალაქო ცნობიერებას, მაგრამ ამისთვის მარტო კარგად ორგანიზებული გაკვეთილი საკმარისი არ არის. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ არის ორგანიზებული სასკოლო ცხოვრება, როგორ უწყობს ხელს მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობის განვითარებას. ჩემი, როგორც დირექტორის, მთავარი მიზანი იყო შემექმნა ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობას და გაკვეთილზე მიღებული ცოდნის რეალიზებას. ამ მიზნის მიღწევა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ გამიმართლა, რადგან სამი წლის წინ აღმოვჩნდი პროგრამაში, რომელსაც სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა PH International-საქართველო. პროგრამაში მონაწილეობამ ძალიან დიდი სარგებელი მოგვცა სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, თემს. ადმინისტრაციამ მიიღო რეალური მხარდაჭერა და გამოცდილება, რათა შეგვექმნა მოსწავლის სამოქალაქო აქტივობისთვის ხელშემწყობი სასკოლო გარემო. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბი „სმარტი“. კლუბმა სამოქალაქო განათლების პედაგოგ ირინა ხატიაშვილთან ერთად ბევრი კარგი და საინტერესო პროექტი და ინიციატივა განახორციელა. გასულ სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნა ეკოკლუბი „მწვანე სიცოცხლე“, რამაც აქტიური გახადა მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა.

დასანანია, რომ პროგრამა დასრულდა, მაგრამ ჩემი მოსწავლეების და პედაგოგების სახელით ვამბობ – ჩვენ შეგვიძლია დამოუკიდებლად გავაგრძელოთ ის საქმე, რაც პროგრამის ფარგლებში ვისწავლეთ“.

ირინა ხატიაშვილი, 45-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი: *„სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში სკოლაში საკმაოდ სერიოზული მუშაობა ჩატარდა. მე, როგორც ამ საგნის პედაგოგმა, გავიარე ბევრი ტრენინგი და მრავალ კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. ეს ყველაფერი მზრდიდა როგორც ადამიანს, როგორც პედაგოგს, რასაც შემდგომში ვიყენებდი მოსწავლეებთან მუშაობისას. პროექტის დახმარებით შევიძინეთ უამრავი მეგობარი, ვიყავით სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკში. სამოქალაქო განათლება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებს და მხარდამჭერებს“.*

ანი მამუკიშვილი, 45-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, „სმარტ კლუბის“ წარმომადგენელი: *„ჩვენი ერთ-ერთი პროექტი იყო „მწვანე ჯგუფი“, რომელიც სკოლაში 2012 წელს განვახორციელეთ. აქტიურად დაგვეხმარა გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტი, რაგბის სტადიონი, ბაგრატიონი-1882. მათი დახმარებით შევძელით სკოლაში გაგვეკეთებინა დასასვენებელი ადგილი. პროექტში მონაწილეობამ უფრო თავდაჯერებული, აქტიური და თავისუფალი გამხადა“.*

ანი დურიშვილი, 45-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, „სმარტ კლუბის“ წარმომადგენელი: *„სამოქალაქო კლუბის ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იყო „ეკო სმარტ ყუთი“, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის რამდენიმე უბანში ნაგვის ურნების განთავსებას, ნარჩენების დახარისხებას, გადამუშავებას, განმეორებით გამოყენებას. ჩვენ ვთანამშრომლობდით თბილსერვის ჯგუფთან, გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტთან და გამგეობასთან. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა – ჩვენ მიმართ მოსახლეობას ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, რაც სასიხარულო და საამაყო იყო. ამ პროგრამამ თითოეული ჩვენგანი გაგვხადა საზოგადოების აქტიური წევრი. ვფიქრობ, „ეკო სმარტ ყუთი“ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად დარჩება ჩვენი სკოლის ისტორიაში“.*

ნატა კურტანიძე, 45-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, სამოქალაქო კლუბის „სმარტი“ წევრი: *„სკოლაში შევქმენით ახალი კლუბი – „მწვანე სიცოცხლე“, დევიზით: „გადავარჩინოთ ხის სიცოცხლე“. შენობის ყველა სართულზე განვათავსეთ ყუთები, რომელშიც ვაგროვებდით ქაღალდს მაკულატურაში ჩასაბარებლად. პროექტში მთელი სკოლა ხალისით მონაწილეობდა. წელსაც ვაპირებთ პროექტის გაგრძელებას და მასში კიდევ უფრო მეტი ადამიანის ჩართვას“.*

მასწავლებლის საერთაშორისო დღე

საზეიმო მიღება მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, საზეიმო მიღება გაიმართა. დედაქალაქიდან და რეგიონებიდან მოწვეულ პედაგოგებს პროფესიული დღე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და ცენტრის დირექტორმა **გიორგი მაჩაბელმა** მიულოცეს და სპეციალური საჩუქრებით დააჯილდოვეს.

ლია გიგაური: *„ყველა მასწავლებელს ვულოცავ ამ დღეს და ვუსურვებ წარმატებებს. კარგია რომ მასწავლებელთა სახლმა ტრადიციად აქცია მასწავლებლის დღის ასე მასშტაბურად აღნიშვნა. დღეს აქ წარმოდგენილი არიან ის მასწავლებლები, რომლებმაც სხვადასხვა პროექტში დაადასტურეს თავიანთი კვალიფიკაცია და მოსწავლეთა საუკეთესო შედეგები.“*

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით ლია გიგაურმა კომპიუტერული ლაბორატორია გახსნა, რომელიც პრაქტიკოს მასწავლებლებს და განათლების ექსპერტებს კოლაბორაციულ, ისტ-ით გამდიდრებულ სამუშაო სივრცეს სთავაზობს.

ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება: ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, საც მასწავლებლები, უნივერსიტეტების წარმომადგენლები თუ განათლების ექსპერტები, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას შეძლებენ; ციფრული ინტერაქტიული სასწავლო რესურსების შექმნა ლაბორატორიაში დამონტაჟებული ვირტუალური სტუდიის გამოყენებით; საუკეთესო პრაქტიკული მაგალითებისა და ინოვაციების გაცნობა-გაზიარება მასწავლებლებს, ასევე ექსპერტებსა და მასწავლებლებს შორის.

ღონისძიებაზე, სკოლის ბაზაზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრაქტიკული გზამკვლევის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მომზადებაშიც, ცენტრის ექსპერტებთან ერთად, საქართველოს დაწყებითი განათლების (G-Praid) ექსპერტები მუშაობდნენ. გზამკვლევი მასწავლებლებს საკუთარი პროფესიული საჭიროებების დადგენასა და განვითარებაში დაეხმარება.

გიორგი მაჩაბელი: *„დღეს მასწავლებელთა სახლში ვიღებთ ძვირფას სტუმრებს – ღრმად პატივცემულ მასწავლებლებს. გავხსენით IT-ის სწავლების ტექნოლოგიის ლაბორატორია და დავაჯილდოვეთ პედაგოგები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროექტებში, ასევე, წავახალისეთ ახალგაზრდა პედაგოგები. ყველას ვულოცავ და ვუსურვებ წარმატებებს“.*

საზეიმო მიღების ფარგლებში, მხატვარ **სოფო თათარაშვილის** გამოფენა მოეწყო.

ღონისძიებას დედაქალაქიდან და რეგიონებიდან მოწვეული 120 მასწავლებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციების წამომადგენლები დაესწრნენ.

პედაგოგთა დასახმარებლად

სოფიო დედალამაზიშვილი

მეთოდების როლი წარმატებულ საგაკვეთილო პროცესში

შინაარსი:

შესავალი
1. რისი საშუალება უნდა მოგვცეს მეთოდებმა;
2. რამდენი მეთოდის ცოდნაა საჭირო;
3. არსებობს თუ არა კარგი და ცუდი მეთოდები;
4. გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვაში მეთოდები ძალიან დიდ როლს თამაშობენ. მათი მეშვეობით შესაძლებელია საუკეთესო შედეგების მიღწევა სწავლა-სწავლების რთულ პროცესში, მაგრამ ხშირად ჩნდება შეკითხვები: რომელი მეთოდია კარგი, რა სიხშირით უნდა გამოვიყენოთ ისინი და რა გარანტია არსებობს, რომ მეთოდის ეფექტურობის საფუძველზე, გაკვეთილი შედეგიანი იქნება და დასახულ მიზანს მივაღწევთ. მინდა გესაუბროთ ამ შეკითხვების ირგვლივ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ გაკვეთილის ხარისხი მეთოდების საშუალებით.

1. რისი საშუალება უნდა მოგვცეს მეთოდებმა

ძალიან ხშირად ისმის კითხვა: როგორია კარგი გაკვეთილი? მაგალითად, კარგია ინგლისურის, ფრანგულის, რუსულის თუ გერმანულის გაკვეთილი, როდესაც თითქმის ყველა მოსწავლე და არა მხოლოდ ის რამდენიმე, რომლებიც მშობლებთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობს, სასწავლო კურსის ბოლოს, სამიზნე ენას კარგად ფლობს და სიამოვნებით იყენებს მას.

რა თქმა უნდა, მიღებული განათლების მაღალი დონე გაკვეთილის ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, მაგრამ ეს შედეგი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და ერთ-ერთი მათგანი და ძალიან მნიშვნელოვანი – მეთოდები.

წარმოიდგინეთ, თქვენ დამწყები მთამსვლელი ხართ, დგახართ მთის ძირში და გაქვთ დავალება სულ ზემო მწვერვალზე ახვიდეთ. თქვენ გვერდით გამოცდილი ალპინისტია და მაშინ, როცა თქვენში მთა შიშს იწვევს, იგი სრულიად მშვიდადაა. რატომ? ის გეგმის მიხედვით იმოქმედებს, ისე, როგორც მრავალჯერ გაუკეთებია. ასვლის პროცესს ფაზებად დაყოფს, რომ საჭირო დროზე ნათელი წარმოდგენა შეექმნას და თავიდანვე მოიფიქრებს, თუ როგორ უნდა ავიდეს, თან საჭირო აღჭურვილობასაც მოიმარაგებს. მას აქვს ის ცოდნა, რაც თქვენ, როგორც დამწყებს, გაკლიათ. ვიდრე თქვენ გამართლების იმედი გაქვთ, მან ზუსტად იცის მიზნის მისაღწევად რა უნდა აკეთოს. პროფესიონალიზმი აძლევს მას თავდაჯერებულობას, უსაფრთხოების შეგრძნებასა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. მას შეუძლია რისკების კარგად შეფასება და ჩამოვარდნის თავიდან აცილება. ამ სიტუაციიდან ნათლად ჩანს, რისი შესაძლებლობა უნდა მოგვცეს მეთოდებმა.

მეთოდები აღწერენ დავალებების შესრულების ხერხებსა და გზებს. ეს არის, ასე ვთქვათ, მათი კლასიკური ფუნქცია. იგი შეესაბამება ბერძნული სიტყვის „methodos“ სიტყვასიტყვით თარგმანს – „Weg nach“ (მიზნისკენ მისასვლელი გზა). მეთოდები გვიჩვენებენ მიდგომებს, ანაწილებენ სასწავლო პროცესს დროში გაწერილ ფაზებად.

არსებობს მეთოდები მოსწავლეებისათვის, მათი ცოდნის ასამაღლებლად და მეთოდები მასწავლებლებისათვის, რომლებიც მოსწავლეების ცოდნისა და უნარების განვითარებას უწყობენ ხელს. მეთოდები დადებითად მოქმედებს მოსწავლეებზე, რაც გამოიხატება არა მხოლოდ სიამოვნების მიღებით სასწავლო პროცესში, არამედ მათი მეშვეობით წარმატებების ადვილად მისაღწევად. ამის შედეგად მიღებული ცოდნა აძლევს მათ თავდაჯერებულობასა და საკუთარი ძალების რწმენას, ამასთანავე, უღვიძებს სწავლის სურვილს.

მაგალითად, ყველა კარგი წვრთნისას არის ინსტრუქციის ფაზები, რომლის დროსაც მწვრთნელი თავის გუნდს შემოიკრებს და მითითებებს აძლევს, ეხმარება, თვითონ უჩვენებს რა უნდა გაკეთდეს, შედეგებს აჯამებს, შეცდომებს ასწორებს. ასეთია სპორტის ყველა კარგი გაკვეთილი და ასევე უნდა იყოს სხვა საგნებშიც. ინსტრუქციას ერთი მიზანი აქვს – ცოდნის ამაღლება.

მეთოდების ნიშან-თვისებები და შესაძლებლობები

ნიშან-თვისებები:
აყალიბებენ სასწავლო პროცესის სტრუქტურას;
ანაწილებენ მას დროში გაწერილ ფაზებად;
შეიცავენ „რიტუალის“ ელემენტებს;
გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო მასალასთან.

შესაძლებლობები:
მათ მიჰყავთ მოსწავლეები საგნობრივი ცოდნის შეძენისაკენ;
უვითარებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
უყალიბებენ მათ უსაფრთხოების შეგრძნებას „საგაკვეთილო რუტინის“ მეშვეობით;
მატებენ თავდაჯერებულობას.

კარგი მასწავლებლის მახასიათებლები

მასწავლებელს ბევრი უნარი უნდა ჰქონდეს, განვიხილოთ სამი მთავარი:

პირველ ადგილზეა ეფექტური კომუნიკაციის უნარი. მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარება. ასეთი უნარის მქონე მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებზე ზრუნვა, მათი ნდობის მოპოვება და სიამოვნების მიღება მათთან კონტაქტით.

მეორე ადგილს იკავებს კარგი საგნობრივი ცოდნა. მასწავლებელს უნდა შეეძლოს საკუთარი ცოდნის გადაცემა მოსწავლისათვის და მასში ინტერესის აღძვრა. მოსწავლეების დაინტერესება შეიძლება მხოლოდ კარგი გაკვეთილით. კარგ გაკვეთილს მიეკუთვნება მიზნისა და შინაარსის შესაბამისი მეთოდების „რეპერტუარი“. კარგი მასწავლებლები, ამავე დროს, კარგი მეთოდისტები არიან. მათ იციან, რომ იმასთან ერთად თუ რა უნდა ასწავლონ, როგორ უნდა ასწავლონ, მოსწავლეების წარმატებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ასე რომ, *როგორ უნდა ასწავლო*, პირველ ადგილს არა, მაგრამ საპატიო მესამე ადგილს ნამდვილად იკავებს მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანი უნარების სიაში.

2. რამდენი მეთოდის ცოდნაა საჭირო

მაინც რამდენ მეთოდს უნდა ფლობდეს მასწავლებელი, ათასს თუ ხუთს? თუ ლიტერატურას გადავხედავთ, მეთოდების ზღვას აღმოვაჩენთ. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ მთელი წლის განმავლობაში, ყოველ გაკვეთილზე, ახალი მეთოდი შეგვიძლია გამოვიყენოთ. თავიდან ამას მოსწავლეებისათვის სიამოვნების მინიჭება შეუძლია, მაგრამ თანდათან მათი კონცენტრაცია შესუსტდება და მათში გაღიზიანებას გამოიწვევს. ასეთი ექსტრემი არაა საჭირო. რა თქმა უნდა, მეთოდების დეფიციტი მეორე უკიდურესობაა, რომელიც მოსწავლეებში იმედგაცრუებას იწვევს. ყველაზე ცუდად მათ დიდხანს გაგრძელებული ფრონტალური გაკვეთილი მიაჩნიათ, როდესაც მასწავლებელი მხოლოდ მათთვის უინტერესო კითხვებს სვამს და ისინი საგაკვეთილო პროცესში არ არიან ჩართულები.

სად არის ოქროს შუალედი? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაკვეთილზე რამდენი გამოიყენება ქვემოთ ჩამოთვლილ სოციალური ფორმებიდან, მხოლოდ ერთი თუ რამდენიმე? მაგალითად: ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფებში თუ ფორუმზე მუშაობა. ამ სოციალური ფორმების საფუძველზე წარმოიქმნება შესაბამისი ხუთი სახის გაკვეთილი, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა.

ესენია:
⇨ ნორმალური დოზით მიწოდებული, კარგად გადანაწილებული ადგილებით და საინტერესოდ დაგეგმილი ფრონტალური გაკვეთილი;
⇨ ინდივიდუალური მუშაობა, რადგან იგი დამოუკიდებელ და კონცენტრირებულ აზროვნებას ავითარებს;
⇨ წყვილებში მუშაობა ურთიერთმხარდაჭერისთვის;
⇨ ჯგუფებში მუშაობა გუნდური მუშაობის უნარისა და სოციალური კომპეტენციების გასავითარებლად;
⇨ მოსწავლეების პრეზენტაციები, რადგან ისინი ყველაზე კარგად უწყობს ხელს კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებას.

სწავლა-სწავლების ამ ხუთი ძირითადი სოციალური ფორმის ჭკვიანური კომბინაციით გაკვეთილი ბევრად უფრო ნაყოფიერი და მრავალფეროვანია. ყველა მეთოდი, რომლებსაც რეპერტუარის გამრავალფეროვნებისაკენ მივყავართ, არის ამ ძირითადი მიმართულებების კომბინაცია.

მეთოდებთან მნიშვნელოვანია „საგაკვეთილო რუტინა“. „საგაკვეთილო რუტინა“ შეიძლება მხოლოდ მაშინ წარმოიქმნას, თუ მეთოდი, მრავალჯერ იქნება გამოყენებული. მხოლოდ ერთხელ რამის მოსინჯვა უშედეგოა. რა თქმა უნდა, საინტერესო მეთოდებით ბავშვებისთვის სასიამოვნო სიურპრიზების მოწყობასაც არ უნდა ავარიდოთ თავი, რადგან ეს მათთვის კარგი მოტივაციაა და სტიმულის მიმცემია სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ყველაფერი გამიზნულად და დოზირებულად უნდა მოხდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიზანი მიღწეული.

3. არსებობს თუ არა კარგი და ცუდი მეთოდები

კარგია ის, რაც სწავლას ხელს უწყობს. კარგი მეთოდი დადებით გავლენას უნდა ახდენდეს როგორც სასწავლო პროცესსა და ატმოსფეროზე, ასევე გაკვეთილის მიმდინარეობაზე. დანარჩენი კრიტერიუმები განისაზღვრება იმით, თუ რომელი პოზიციიდანაა გაკვეთილი შეფასებული. მასწავლებლების პოზიციიდან კარგია მეთოდი, რომელიც კარგ შედეგს იძლევა, ამასთანავე, დიდ დროსა და ძალისხმევას არ მოითხოვს და საკლასო ოთახებში მისი გამოყენება ადვილია. მოსწავლეების პოზიციიდან სიამოვნების მიღება, ჯგუფში უსაფრთხოების შეგრძნება, წარმატების განცდა და მრავალფეროვნებაა მნიშვნელოვანი. ხოლო მშობლებისთვის ის მეთოდებია კარგი, რომელთა შესახებაც ბავშვები ხალისით ყვებიან და სკოლაში „მუცლის ტკივილის“ გარეშე მიდიან. იმათთვის, ვინც განათლების ხარისხითაა დაინტერესებული მნიშვნელოვანი იქნება, რომ მეთოდები უნარების განვითარებასა და პიროვნების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს, ამასთანავე ცხოვრების გამოწვევებისათვის ამზადებდნენ და თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალური ტალანტის გამოვლენაში ეხმარებოდნენ.

მეთოდები არ იძლევიან გარანტიებს

მეთოდი შესაძლებელია მხოლოდ კარგი გაკვეთილის საფუძველი იყოს. ხოლო ის პოტენციალი, რაც მასშია, ნამდვილად ბოლომდე გამოვლინდება თუ არა, იმ პიროვნებებზეა დამოკიდებული, რომლებიც მას იყენებენ. ასე შეგვიძლია მეთოდები რეცეპტებს შევადაროთ. რეცეპტები, ისევე როგორც მეთოდები, კარგი კერძების მომზადების საფუძველია, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, არ არის იმის გარანტი, რომ კერძი გემრიელი გამოვა.

არ არსებობს პატენტი საუკეთესო რეცეპტისათვის და აგრეთვე საუკეთესო საგაკვეთილო მეთოდისათვის. მეთოდების კომბინაციაა ღირებული და მნიშვნელოვანი.

ტრადიციულ მეთოდებსაც შეუძლიათ კარგი შედეგები მოგვცენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადამუშავებულია და მოთხოვნებზეა მორგებული. მაგალითად, მასწავლებლის კარგი მოხსენება ქვეყნის ტრადიციების შესახებ, შესაძლებელია, ძალიან კარგი მოტივაციის გამომწვევი იყოს მოსწავლეებში და არანაირად არ ეწინააღმდეგება ინტერაქტიულ გაკვეთილს, თუ ის მიზანს აღწევს.

ლექცია-გაკვეთილი ნამდვილად ტრადიციულ მეთოდებს მიეკუთვნება. ის რომ რეცეპტი იყოს, ნამდვილად ძნელად მოსანელებელი კერძების სიას მიაკუთვნებდნენ. თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად დაგეგმილმა ასეთი ტიპის გაკვეთილმა, შესაძლებელია მოსწავლეებში ინტერესი აღძრას და ჩააფიქროს ისინი კონკრეტულ საკითხებზე. მაგრამ შეიძლება ის, აგრეთვე, სტრესული, მოსაწყენი და ნაკლებად შედეგიანი იყოს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ შეიძლება ძალიან სწრაფად დავადანაშაულოთ მეთოდი იმაში, რომ იგი ნაკლებად შედეგიანია. არ შეიძლება თავიდანვე უარვყოთ მეთოდი, თუ იგი ჯერ არ გამოგვიყენებია და მხოლოდ გვსმენია მის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან ასეც ხდება. ის ფაქტი, რომ პირველ ცდაზე რაღაც არ გამოვიდა კარგად, არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მეთოდი აღარ გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილია იმის მტკიცება, რომ მეთოდი არაა კარგი, ვიდრე იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვფლობთ მას. მეთოდების უარყოფა ყველაზე იოლი გამოსავალია იქიდან, რომ ჩვენ თვითონ ზედმეტად არ ჩავუღრმავდეთ მიზეზებს.

იმისათვის, რომ მეთოდი წარმატებით გამოვიყენოთ და შედეგზე გავიდეთ, დრო და გარჯაა საჭირო. თუ მათ პოზიტიური განწყობით მივუდგებით, ყოველ ჯერზე თვითრეფლექსიას გამოვიყენებთ, შეცდომების სათავეების გასაანალიზებლად და აღმოსაფხვრელად, ისინი მოგვიტანენ წარმატებას, ხოლო თუ ასე არ გავაკეთებთ, თითოეული წარუმატებლობა მეთოდის გამოუსადეგრობის დამამტკიცებელ საბუთად გადაიქცევა.

ხშირად ჭირს სკოლაში ახალი მეთოდების ინტეგრირება. ამას ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მთლიანობაში, ზოგადად, ცვლილებებისათვის მზადყოფნა არც თუ ისე მაღალია. ერთ-ერთი საშუალება სიახლეების შემოსატანად თვითმოტივაცია შეიძლება იყოს. სკეპტიკური განწყობა ახალი მეთოდების დანერგვისას განსაკუთრებით სამწუხაროა, რადგან ისინი ჩვენთვის, მასწავლებლებისათვის, აქტუალური პრობლემების მოსაგვარებელ ეფექტურ საშუალებად შეიძლება იქცნენ. რთულია ინოვაციების დანერგვა, როდესაც ამის გაკეთება მარტოს გიწევს, მაგრამ კოლეგებთან ერთად, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ეს ყველაფერი ბევრად უფრო ადვილია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც, ამავდროულად, პროცესს აანალიზებ.

საბოლოოდ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თითოეული მეთოდი მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებული იყოს, როდესაც იგი კარგადაა დაგეგმილი და განხორციელებული, ამავე დროს, სწორადაა ინტეგრირებული საგაკვეთილო პროცესში, როცა ნათელი და გასაგები წესებია შემოღებული, მათ დაცვას ყურადღება ექცევა, უკვე საძირკველია ჩაყრილი იმისათვის, რომ მეთოდები გაკვეთილზე წარმატებით და შედეგიანად იქნება გამოყენებული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ჩვენ, მასწავლებლებმა, ვიცოდეთ, რომ მეთოდები საუკეთესო შედეგს მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლის, რეფლექსიისა და გამეორების საფუძველზე იძლევა. ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს მეთოდი, რომელიც ყველა მოსწავლეს ერთნაირად ერგება და მის სწავლაში წარმატებას განაპირობებს, ამიტომაა საჭირო მეთოდების დიდი რეპერტუარის ქონა და მისი საჭიროებისამებრ გამოყენება, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი მოსწავლეებთან საუკეთესო შედეგების მიღწევა.

ინფორმაცია

ერთად ყველაფერს შევძლებთ

დიდი ტვირთი და ვალია იყო მასწავლებელი, თანაც პირველკლასელების. მშობელი და ქვეყანა ერთად გაბარებს პატარას და შენგან მომავლის ერისკაცს, ბურჯს ელოდება გამოზრდილ-გამონვრთნილს, რომელმაც 21-ე საუკუნე მხრებით უნდა ატაროს, ოჯახს, ქვეყანას შეეხიდოს და თავისი წილი აგური დადოს იმ ტაძრის ასაშენებლად, სამშობლო რომ ჰქვია.

სკოლის ეზოშივე შემომეგება უცხო მშობელი თავისი პატარათი, თქვენი მოსწავლე იქნებაო, გამაცნო. ბავშვს ხელი მოვკიდე, მისი გაყინული, ათრთოლებული თითები უსუსურად მომეჩვენა, მერე გულში ჩავიკარი და მისი აჩქარებული გულისფეთქვა ყურში ჩამესმა. მომეყურა? არა, გული გამალებით, ხმაურით უცემდა, განიცდიდა და ღელავდა, რას? თავადაც არ იცოდა...

ცრემლები მომერია და ჩემს თავს ვკითხე: შევძლებ? შეეჩერდი და ხმამაღლა ვთქვი: შევძლებთ! სხვა უფლება არ გვაქვს, რადგან მასწავლებლები გვქვია, ყველაფერი უნდა შევძლოთ, მამულს მოაზროვნე, მებრძოლი და უშიშარი თაობა უნდა აღვუზარდოთ, ვასწავლოთ მშობლიურის დაცვა და სიყვარული, სხვისი პატივისცემა და დაფასება.

როგორც ახალ წელს უხდება მეკვლე, ასევე ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს შვენის კარგი სტუმარი. წელს ჩვენი სკოლის სტუმრები იყვნენ: ყველა ქართული ოჯახის საყვარელი წევრი, ბატონი **გოჩა ტყეშელაშვილი** – პროექტ „ეტალონის“ წამყვანი და სულისჩამდგმელი; ბატონი **ნიკო მოდებაძე** – „პრივატბანკის“ საჩხერის ფილიალის მმართველი; ბატონი **მალხაზ ბაზაძე** – საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი; ქალბატონი **ცისმარი მაჭარაშვილი** – საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

დიდი მადლობა მათ საჩუქრებისთვის, სტუმრობისა და კეთილი სურვილებისთვის. მე კი ჩემმა პირველკასელებმა კითხვებით იმდენად გამაბრუეს, გადავწყვიტე, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ **ვერა აბდუშელიშვილს** გაეცა, ყველა ჩვენგანისათვის უსაყვარლეს პიროვნებას, საუკეთესო ხელმძღვანელსა და სამართლიან ქალბატონს. გთავაზობთ პირველკლასელთა ინტერვიუს ქალბატონ ვერასთან:

თამარ კუსიანი: *მოგესალმებით! მე გახლავართ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის №1 საჯარო სკოლის პირველკლასელი.*

– მეც მოგესალმებით, ჩემო პატარებო! მე ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამჟამად კი დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ვერა აბდუშელიშვილი გახლავართ.

თამარ კუსიანი: *მე უკვე სკოლაში მოვედი, მივხვდი, რომ გავიზარდე და სწავლას უნდა შევუდგე! მაინტერესებს, რა იქნება აქ?!*

– ცოდნის ამ დიდ ტაძარში გელოდებათ ბევრი საინტერესო დღე. ჩვენს სკოლაში დაეუფლებით იმ ცოდნას, რომელიც სამყაროს გასაღებს გაპოვნინებთ. აქ გაატარებთ სიცოცხლის საუკეთესო და დაუვიწყარ წლებს, აქ მოემზადებით მომავალი ცხოვრებისათვის.

ნიკოლოზ მაჭარაშვილი: *რატომ ჰქვია ჩვენ სკოლას ეს სახელი?*

– ჩვენი სკოლა აკაკის სახელს იმიტომ ატარებს, რომ უდიდესი ერისკაცის, მარადისობას ნაზიარები მგოსნის სახელი ხშირად ისმოდეს მოზარდთა შორის. ეს რჩეულთა ხვედრია.

ერთხელ, ბავშვებო, ბათუმში, ნინოობის საღამოზე მოწვეულ უცხოელ სტუმრებს აკაკიზე უთქვამთ, ღმერთი ვიხილეთო. იქნებ, გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ ეს ნათქვამი, მაგრამ, როცა აკაკის შემოქმედებას ეზიარებით და მის ღვაწლს გაიგებთ, დარწმუნდებით, რა მადლიან მინაზე დააბიჯებთ. ნოდარ დუმბაძეს აკაკის ლექსზე – „განთიადი“, უთქვამს: *„განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება. დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი“*. მიხვდით, რატომ ატარებს ჩვენი სკოლა აკაკის სახელს?!

მარიამ სამხარაძე: *რას ელოდებით ჩვენგან?*

– თქვენგან ველოდები, რომ ღირსეული ქართველები გაიზრდებით. ასახელებთ ჩვენს სკოლას, თქვენს აღმზრდელ მასწავლებლებსა და მშობლებს. ისეთი მამულიშვილები გაიზრდებით, როგორიც აკაკის, პაოლო იაშვილისა და მუხრან მაჭავარიანის მინის შვილებს შეჰფერით.

გიორგი ჭიტაძე: *რას მიშნავს მამულიშვილობა?*

– მამულიშვილი სამშობლოს ღირსეული შვილია. შვილი, რომელიც მუდამ სამშობლოს ბედზე წუხს, მის მომავალზე ზრუნავს, სამსხვერპლოზე უყოყმანოდ სწირავს თავს; ვისი ცხოვრების გზაც სამაგალითოა და ზნეობრივად და სულიერად ამაღლებს ერს. სწორედ აკაკი წერეთელია საუკეთესო მაგალითი მამულიშვილობისა; ასევე ილია, ვაჟა და ის ქართველები, რომელთაც სიცოცხლით ან ღირსეული სიკდილითა და მამულისთვის თავდადებით უკვდავყვეს სახელი.

თამარ კუსიანი: *თამაში? როდისღა ვითამაშებ?*

– თქვენ ისეთი ჭკვიანი ბავშვები ხართ, რომ არაჩვეულებრივად შეძლებთ დროის განაწილებას – ჯერ კარგად იმეცადინებთ, შემდეგ კი ითამაშებთ.

თამარ კუსიანი: *ეს ძალიან მომეწონა. დედამ მითხრა, თამაშისთვის აღარ გეცლებაო, მე კი ყველაზე მეტად თამაში მიყვარს, მიყვარს „დედობანას“ და „მასწავლებლობანას“ თამაში.*

იმ დღეს სკოლიდან რომ დავბრუნდი და ვისადილე, ჩემი თოჯინების მასწავლებელი ვიყავი, დავარიგე, მივეფერე... თურმე ბებო მიგდებდა ყურს, ფეხაკრეფით მომეპარა, ბევრი, ბევრი მაკოცა, გულში ჩამიკრა და მითხრა: ბებო გენაცვალოს, შენგან კარგი მასწავლებელი დადგებაო. გამიკვირდა, ბებოს თვალებში ცრემლები ჰქონდა (ნაღვლიანად იღიმება). *ცრემლი დავუშრე და ვაკოცე.*

– ჩემო პატარებო, თქვენი თანაგრძნობა, სიყვარული, სიკეთე, მონდომება, მისწრაფება ყველას აღაფრთოვანებს. მჯერა, არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, ერსაც მოწმენდთ „ტანჯვის ცრემლსა“.

პირველკლასელები: *დიდი მადლობა.*

* * *

სექტემბრის მზე ათბობდა დედამინას. მოვდიოდი ჩემს პირველკლასელებთან ერთად და უზომო სითბოსა და სიხარულს ვგრძნობდი. დიახ! ერთად ჩვენ ყველაფერს შევძლებთ!

ნაზი არსენაძე
საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ერთად ვიზრუნოთ დედამიწის დასახმარებლად

გასული წლის ოქტომბერში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, მოეწყოთ დასუფთავების აქცია სახელწოდებით – „ნუ ვატყენთ დედამიწას გულს!“. საკუთარი ხელით დაამზადეს მოსაწვევები და სოფლის მოსახლეობა აქციაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს. ემბლემა **მარიამ სუბელიანმა** დახატა და თითოეულ მონაწილეს დაურიგდა. მოსწავლეებმა დაასუფთავეს სოფლის შემოსასვლელი, დაამაგრეს ტრაფარეტები, რომლითაც მოუწოდეს ყველას: „ნუ დაანაგვიანებ სოფელს!“. გადაწყდა, აქცია მრავალჯერადი ყოფილიყო.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე დაიგეგმა ლახამულის მიმდებარე ტყის – „მუთრის“ დასუფთავება. ეს ადგილი როგორც ადგილობრივებისთვის, ისე სტუმრებისთვის განტვირთვისა და დასვენების ადგილია ცადაზიდული ფიჭვებით, ნაძვებით და სუფთა ჰაერით. მოსწავლეები ძალიან წუხდნენ, რომ გარემო, სადაც ამდენი ადამიანი დადის, დაბინძურებული იყო. აქციას ცოტა მოგვიანებით ვგეგმავდით, თუმცა მსოფლიო მასშტაბით გამოცხადებულმა გარემოს დასუფთავების აქციამ ჩვენი ჩანაფიქრი დააჩქარა და, უამინდობის მიუხედავად, მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ ტყის მონაკვეთის დასუფთავებას. მანამდე კი, **ნინელი ეჯიბაძემ** დაამზადა მოსაწვევები,



რომლითაც სოფლის ყველა მკვიდრს კვლავ იწვევდა საკუთარი გარემოს დასაცავად. ჩვენ გვერდით იყვნენ: სოფლის ახალგაზრდა ხელმძღვანელი **მერაბ საბანიძე** და სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **ვალოდია ჭკადუა**; ლახამულის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი.

ტყიდან ისევ სოფლის შემოსასვლელისკენ გადმოვინაცვლეთ და აქაც ჩვენი ხელი დავატყვეთ მიდამოს. დასუფთავების აქცია კიდევ გაგრძელდება.

26 სექტემბერს შევუერთდით აქციას „დარგე და გარგებს!“. დილიდანვე სხვადასხვა ნერგებით ხელდამშვენებული მოსწავლეები სკოლისაკენ მოიჩქარობდნენ. აკაციის, ფიჭვის, ჭანჭურის, ალუბლის, ასევე, ვარდისა და იასამნის ნერგები სკოლის ეზოში დაირგო. გადავიღეთ ვიდეო, გამოვიწვიეთ ფარის, ნაკრის, ხაიშისა და ყარსგურიშის საჯარო სკოლები.

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლის მასწავლებელი

ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო

ეთერ გელაშვილი, 1937 წლის 20 ოქტომბერს, ბორჯომის რაიონის კურორტ წაღვერში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ აისრულა ოცნება და პედაგოგიურ სასწავლებელში დაეუფლა პროფესიას. მოწოდებით პედაგოგი დიდი ინტერესით და სიყვარულით შეუდგა მომავალი თაობების აღზრდას, თავის მეუღლესთან, პედაგოგ **ჟორა მოდებაძესთან** ერთად ახალციხის რაიონის სოფელ ურაველში.

ნახევარი საუკუნე შეალია საყვარელ საქმეს, უამრავმა ბავშვმა, მოზარდმა გაიარა მის ხელში. ქართულ ანბანთან ერთად ასწავლიდან სამშობლოს სიყვარულს და პატივისცემას. ეს იყო მისი მთავარი მიზანი და შედეგსაც აღწევდა. მასწავლებლობა ხომ საამაყო და საპასუხისმგებლო საქმეა, ამიტომაც დიდ მადლიერებას გამოხატავენ ახალგაზრდები მის მიმართ. გამოცდილებას, განათლებას, სიყვარულს უშურველად გასცემდა, ცხოვრების გზაზე გასულ თაობებს თან ატანდა გულის სითბოს, სიკეთეს.

დღეს ქალბატონმა ეთერმა საჭიროდ ჩათვალა, ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმოს. ადვილი არ არის მიატოვო საყვარელი საქმე, ერთგული კოლექტივი, მაგრამ არჩევანი გააკეთა იმ იმედით, რომ მისი ახალგაზრდა კოლეგები გააგრძელებენ იმ გზას, რომელსაც ქალბატონი ეთერი ნახევარი საუკუნე მიჰყვებოდა.

დაუნანებლად გაცემული სიკეთისათვის განათლებისა და სითბოსათვის, ურავლის საჯარო სკოლის სახელით, მინდა ჯანმრთელობა და მხნეობა ვუსურვო მას.

ვასილ მოდებაძე
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავლის საჯარო სკოლის დირექტორი

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ცხოვრებაში ყველა მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილება რეალიზებადია

დარინა გამხიტაშვილი
რეგენსბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი

– დარინა, მოსწავლეობის პერიოდი მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის საჯარო სკოლაში გაატარე, როგორ გახსენდება იქ გატარებული წლები, შენი მასწავლებლები... გარკვეულწილად, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას გიხდით, რომ დაინტერესდით ჩემი პიროვნებით და მომეცით შესაძლებლობა, ვიყო თქვენი გაზეთის ძალიან საინტერესო რუბრიკის სტუმარი. მოსწავლეობის პერიოდი ჩემთვის, ასე ვთქვათ, ტკბილ-მწარე მოგონებაა, რადგან ჩემს მშობლიურ სოფელში, მოსწავლეთა სიმცირის გამო, მხოლოდ დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა. მუხრანის საჯარო სკოლაში, გაკვეთილებზე დასასწრებად, სრული შვიდი წელი, ყოველდღე, 8 კილომეტრის ფეხით გავლა გვიხდებოდა. მყავდა თბილი, ყურადღებიანი, თავისი საქმის პროფესიონალი მასწავლებლები. თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩემს პედაგოგებს. ყველა საგანს ერთნაირი მონდომებით ვსწავლობდი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყველა ერთნაირად მაინტერესებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი ქართულ და გერმანულ ენებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ისტორიას. სკოლაში სიღრმისეული ზოგადი განათლება მივიღე, რომელიც დღემდე მეხმარება, თუმცა ჩემს პროფესიულ მომავალზე სკოლაზე მეტად დიდი გავლენა დედამ მოახდინა, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ უცხო ენების შესწავლა და საზღვარგარეთ განათლების მიღება, წარმატებული მომავლის შეუცვლელი წინაპირობაა.

– რა გზა გაიარე საქართველოდან გერმანიამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ეს ქვეყანა?

– 2002 წელს სწავლა განვაგრძე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე, გერმანული ენის განხრით, რომელიც 2006 წელს წარჩინებით დავამთავრე. რადგან გერმანული ენა, ლიტერატურა და კულტურა პროფესიულ დონეზე მქონდა შესწავლილი, სწავლის გასაგრძელებლად, რა თქმა უნდა, არჩევანი ამ ქვეყანაზე გავაკეთე. გერმანიაში „Au-Pair“ პროგრამით ჩამოვედი, რომელიც გულისხმობდა გერმანულ ოჯახში მუშაობას და, პარალელურად, გერმანული ენის შესწავლას. საერთოდ, გერმანიაში უმაღლესი განათლების მიღება, უცხოელი სტუდენტებისთვის, ბევრ ბიუროკრატიასთანაა დაკავშირებული. პირველად ორიენტაციაში ძალიან დამეხმარნენ უკვე აქ მყოფი ქართველი სტუდენტები. გამომდინარე იქიდან, რომ გერმანისტის დიპლომს ვფლობდი, მომეცა საშუალება შემესწავლა ნებისმიერი სასურველი პროფესია. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პიროვნება გერმანისტის დიპლომს არ ფლობს, მაშინ მას ეძლევა უფლება, მხოლოდ იმ განხრით გააგრძელოს სწავლა, რაც სამშობლოში უკვე შეისწავლა. უფრო რთულია მდგომარეობა, თუ მხოლოდ სკოლის ატესტატი გაქვს – ამ შემთხვევაში, გიწევს წინასაუნივერსიტეტო კოლეჯის მოძებნა, სადაც ადგილის მიღება ძალიან რთულია.

– დაამთავრე აიხშტეტ-ინგოლშტატის უნივერსიტეტი. მოკლედ მიამბე ამ უნივერსიტეტის შესახებ.

– აიხშტეტ-ინგოლშტატის უნივერსიტეტი, 6000 სტუდენტით, ბავარიის მიწაზე ყველაზე პატარა უნივერსიტეტად ითვლება. გადანაწილებულია ორ ქალაქზე – ქალაქ აიხშტეტში ისტორიის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა, პედაგოგიკის, საბუნებისმეტყველო, ფილოსოფია-პედაგოგიკის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტებია განთავსებული, ინგოლშტატში კი, ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აიხშტეტ-ინგოლშტატის უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტია და დაფინანსების 85%-ს ბავარიის მიწის ბიუჯეტიდან იღებს, დანარჩენი 15% დაფინანსება ხდება კათოლიკური ეკლესიის მიერ, რის გამოც ის კათოლიკურ უნივერსიტეტად იწოდება. სახელწოდება არანაირ გავლენას არ ახდენს საუნივერსიტეტო პროგრამებზე და, რა თქმა უნდა, მისი კარი ღიაა ყველა რელიგიის წარმომადგენლისთვის. მიუნხენის გოეთეს ინსტიტუტში გერმანული ენის გამოცდის – „ტესტდაფ“-ის („TestDaf“) წარმატებით ჩაბარების შემდეგ, 2008 წელს, სწავლა გავაგრძელე ისტორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინტერდისციპლინარულ ბაკალავრიატზე, სახელწოდებით – „დროები, სივრცეები, კულტურები“, რომელიც მოიცავდა დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიას, ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურას. სავალდებულო ერთი ძირითადი საგნიდან არჩევანი გავაკეთე – „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უახლესი ისტორია და პოლიტოლოგია“. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი – „დისიდენტური მოძრაობა საქართველოში 1953-1989 წლებში და ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის საწყისები 1989-დან 1992 წლამდე“ – ჩავაბარე გერმანიაში ძალიან ცნობილ პროფესორთან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიაში, ლეონიდ ლუკსთან. გერმანიაში თითქმის ყველა ბაკალავრიატი, თავის სასწავლო გეგმაში, მოითხოვს თეორიის საფუძველზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სასწავლო სავალდებულო პრაქტიკა გავიარე ქალაქ ინგოლშტატის კულტურის სამსახურში, ხოლო სასწავლო პროექტი, რომლის ჩაბარებაც დიპლომის ერთ-ერთი აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია, გავაკეთე თანაკურსელებთან ერთად ქალაქ შტუტგარდში. როგორც პრაქტიკის, ასევე პროექტის შესრულების პერიოდში, საშუალება მომეცა მემუშავა პროფესიონალ, ნოვატორ ადამიანებთან, რამაც როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული თვალსაზრისით ძალიან გამზარდა.

– ამჟამად, სწავლას მაგისტრატურაზე აგრძელებ, რა პროფესიას ეუფლები?

– სწავლას რეგენსბურგის უნივერსიტეტში ვაგრძელებ, რომელიც 11 ფაკულტეტს მოიცავს და, გერმანიის მასშტაბით, ერთ-ერთი ძალიან პრესტიჟული უნივერსიტეტია. ქალაქი გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩეხეთის რესპუბლიკის საზღვართან ახლოს მდებარეობს, მიზნად აქვს დასახული იყოს ხიდი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის. ამის გამოხატულებაა უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული აღმოსავლეთ-დასავლეთ ევროპის კვლევის ცენტრი – „Europaeum“ – „East-West-Centre“. ეს ცენტრი კურირებს საერთაშორისო და ინტერდისციპლინარულ მაგისტრატურას „აღმოსავლეთ-დასავლეთ ევროპის სწავლებები“ („East-West-Studies“), რომლის მეორე კურსის სტუდენტი გახლავართ. ვსწავლობ პოლიტოლოგიას, სამართალს და პროექტების მენეჯმენტს. „East-West-Studies“ თემატურად ჩემი წინა ბაკალავრიატის გაგრძელებაა და მაძლევს დიდ კონცეპტუალურ ცოდნას, მიღრმავებს ანალიტიკური აზროვნების უნარს აღმოსავლეთ-დასავლეთ ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების სფეროში. ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა ქვეყანათაშორისი ურთიერთობების სპეციფიკა. დიდი სურვილი მაქვს, სწავლის დასრულების შემდეგ, ამავე სფეროში მოვსინჯო ჩემი ძალები. ვფიქრობ, პოლიტოლოგიის და სამართლის შესწავლა დასახულ მიზანთან დიდად დამაახლოვებს.

– სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– თავად სასწავლო დაწესებულების მიერ, საკონკურსო საწყისებზე, ნიჭიერ სტუდენტთა დაფინანსება თითქმის არ ხდება. გერმანიაში რამდენიმე უნივერსიტეტს, მათ შორის, რეგენსბურგის, აქვს საკუთარი ფონდი, რომელიც სემესტრულად უცხოელ ნიჭიერ, ფინანსურად ხელმოკლე სტუდენტებზე გასცემს სტიპენდიებს სემესტრში მიღწეული შედეგების მიხედვით. უკვე ორი სემესტრია, ვარ რეგენსბურგის უნივერსიტეტის ფონდის სტიპენდიანტი, რაც უზომოდ მახარებს და მიღწეული შედეგების გაუმჯობესების უფრო მეტ სტიმულს მაძლევს. ასევე, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, მომეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიმეღო რეგენსბურგის უნივერსიტეტისა და ბავარიის პოლიტიკის აკადემიის მიერ ორგანიზებულ პროექტში – „გამოწვევები უსაფრთხოების პოლიტიკაში და ევროპული ინტეგრაცია – NATO და ევროკავშირი XXI საუკუნეში“. პროექტი განხორციელდა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, სადაც ხუთი დღის განმავლობაში ვმონაწილეობდი ევროპარლამენტში, NATO-ში, ევროკომისიაში გამართულ სასწავლო სემინარებში. ამავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პირად შეხვედრებზე ვისაუბრეთ ისეთ საინტერესო თემებზე, როგორიცაა: ევროკავშირის და NATO-ს აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა, მისი შედეგები და მიზნები, ლობიზმი ევროკავშირის მასშტაბით, სამოქალაქო საზოგადოება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ევროპარლამენტის 2014 წლის არჩევნების შედეგები და მათი მნიშვნელობა ევროპის ერთიანი მომავლისთვის, ტრანსატლანტიკური სავაჭრო ხელშეკრულება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და სხვ. სწავლაში მიღწეული შედეგების მიუხედავად, ყველა სტუდენტი სარგებლობს ფასდაკლებით: საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მუზეუმებში, თეატრებში, ხშირად – კაფეებსა და რესტორნებშიც კი.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ. რამდენადაც ვიცი, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?

– სასწავლო პროგრამები ხშირად თეორიული მასალისა და პრაქტიკული მაგალითების სინთეზს წარმოადგენს, რაც, ჩემი აზრით, მასალის ათვისებას უფრო აადვილებს. ბაკალავრიატზე სწავლება სამი წელი გრძელდება, მაგისტრატურაზე – ორი. სასწავლო პროგრამების ორგანიზება დამოკიდებულია ფაკულტეტზე, ძირითადად, განასხვავებენ ოთხი ტიპის სამეცნიერო სასწავლო ლექციას: ლექცია, პროსემინარი, სემინარი და მთავარი სემინარი. ლექციის გარდა, სტუდენტი პროსემინარის, სემინარის და მთავარი სემინარის მიმდინარეობისას აქტიურადაა ჩართული სემესტრული სწავლების პროცესში, ევალება ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება, სასურველ თემაზე მოხსენების წაკითხვა და, სემესტრის ბოლოს, დაახლოებით 15-20 გვერდი წერითი საკურსოს დამუშავება. ლექციას კი, 90 წუთის განმავლობაში, პროფესორი კითხულობს და სემესტრის ბოლოს სტუდენტი წერით გამოცდას აბარებს. ერთდღიან ლექციებზე, რომლებსაც ცნობილი პიროვნებები კითხულობენ, დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამ ცნობილ პიროვნებათა შორის არიან: გერმანის კანცლერი ანგელა მერკელი, რომელმაც, რეგენსბურგში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტი მოინახულა და ისაუბრა თემაზე – „ევროპა და ევროკავშირის ლტოლვილთა პოლიტიკა“; გერმანიის პრეზიდენტი იოხიმ გაუკი; რუსეთის სიციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის – „ლევადას ცენტრის“ დირექტორი ლევ გუდკოვი, რომელმაც ძალიან საინტერესო ლექციები წაიკითხა თემაზე – „რუსეთი და ევროპა“, „რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება ვლადიმერ პუტინის შიდა და საგარეო პოლიტიკურ კურსთან მიმართებაში“. ხშირად გვსტუმრობენ გერმანიის ბუნდესტაგის თუ ევროპარლამენტის დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე ცნობადი სახეები. ასევე ხშირად ტარდება რამდენიმედღიანი, ინტერდისციპლინარული, სასწავლო-შემეცნებითი კონფერენციები მეცნიერების ყველა სფეროში.

– რა როლი უჭირავს გერმანიაში, კერძოდ ბავარიაში, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებით სარგებლობა სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ბავარიაში ყველა საჯარო, სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ერთ მთლიან „ბავარიის ბიბლიოთეკების კატალოგს“ ქმნის და ონლაინრეჟიმში ფუნქციონირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სტუდენტი თავისი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სასურველ ლიტერატურას ვერ მოიძიებს, შესაძლებლობა აქვს, საერთო კატალოგის საშუალებით, ბავარიის მიწაზე ყველა დანარჩენ ბიბლიოთეკას დაუკავშირდეს და შეუკვეთოს სასურველი მასალა, რომელსაც საკუთარ უნივერსიტეტში მიიღებს. შესაძლებელია როგორც წიგნების, ასევე დაარქივებული და ისტორიულად ღირებული ჟურნალ-გაზეთების, აუდიო-ვიდეო მასალის შეკვეთა. თუ სასურველი მასალის შეძენა გსურთ, არც ეს წარმოადგენს პრობლემას, თანხის გადახდის შემდეგ მიიღებთ სასურველი ლიტერატურის ქსეროასლს. ასეთი მოწესრიგებული და დახვეწილი სისტემა საშუალებას გვაძლევს, სასურველი ლიტერატურა მაქსიმალურად მცირე დროში მოვიპოვოთ, რაც სასწავლო პროცესს ძალიან კომფორტულს ხდის. გარდა ამისა, გერმანიის მასშტაბით, ფუნქციონირებს „გერმანიის ბიბლიოთეკათა საერთო კატალოგი“, რომელიც გერმანიაში არსებულ ყველა ბიბლიოთეკას მოიცავს.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– დარწმუნებული ვარ, ქართული უმაღლესი სასწავლებლები პროფესიონალი კადრების ნაკლებობას არ განიცდიან. ევროპული სასწავლებლების უპირატესობა, ქართულთან შედარებით, მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურაში, საბიბლიოთეკო სისტემასა და ინტერდისციპლინარული სემინარების სიმრავლეში გამოიხატება. ასევე ძალიან აქტუალურია და სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს გაცვლითი პროგრამები – ამერიკის, აზიის, ევროპის ქვეყნებში. საშუალება გვაქვს, უფასოდ შევისწავლოთ უცხო ენები, ვისარგებლოთ უნივერსიტეტის სპორტული დარბაზით, სპორტის სხვადასხვა სახეობებისა და ცეკვის შემსწავლელი კურსებით. სტუდენტებისათვის მსგავსი კომფორტული გარემოს შექმნა, უახლესი ინვენტარით აღჭურვა, რა თქმა უნდა, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და, ვფიქრობ, სწორედ ეს წარმოადგენს ქართული უნივერსიტეტებისთვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს.

– როგორც ვიცი, ჩართული ხარ არასამთავრობო ორგანიზაცია – „საერთაშორისო ამნისტია“ საქმიანობაში. კერძოდ, მუშაობ ლტოლვილთა პოლიტიკის ჯგუფში, სადაც ეხმარები გერმანიაში მყოფ ლტოლვილებს. საინტერესოა ვინ არიან (რომელი ქვეყნის წარმომადგენლები) ისინი, რას ასახელებენ სამშობლოს დატოვების მიზეზად და რა დახმარებას უწევ მათ?

– გერმანიის კანონმდებლობა, საბედნიეროდ, მუშაობის უფლებას გვაძლევს. მთელ ჩემს დროს, დიდი სიამოვნებით დავუთმობდი სწავლას, თუმცა, საცხოვრებელი და სასწავლო ხარჯების დასაფარად სტუდენტობის პირველივე დღიდან მიწევს საჭირო თანხის გამომუშავება. სწავლისა და მუშაობის შეთავსება წარმოუდგენლად ძნელია და დიდ სულიერ და ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, როდესაც მკაფიოდ დეფინიცირებული მიზანი გაქვს, მის ფონზე ყველანაირი ფინანსური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემა ფერმკრთალდება. ცხოვრებაში ყველა მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილება რეალიზებადია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია“ („Amnesty International“) 3 მილიონზე მეტ წევრს ითვლის და ამით მსოფლიოში ადამიანის უფლებების დამცველი ყველაზე დიდი არასამთავრობო ორგანიზაციაა. 1961 წელს დიდ ბრიტანეთში დაარსდა და ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და ამ უფლებების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან სხვადასხვა ქვეყნებში. თავისი საქმიანობით ცდილობს ხალხის ყურადღება მიიქციოს დარღვევის ფაქტებზე და ზეწოლა მოახდინოს დამრღვევებზე. ვმუშაობ ლტოლვილთა პოლიტიკის განყოფილებაში. „საერთაშორისო ამნისტიაში“ სასწავლო სემინარების გავლის შემდეგ, ოფიციალურად მომენიჭა ლტოლვილთა მრჩევლის სტატუსი. ჩემი მთავარი დავალება ლტოლვილთა დაკვალიანებაა. სურვილის შემთხვევაში, გვაკითხავს ლტოლვილის სტატუსის მქონე პიროვნება. მისი საბუთების შესწავლის შემდეგ ვურჩევ, მიმართოს ადვოკატს თუ დაელოდოს შესაბამისი სტრუქტურებიდან პასუხს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ვაძლევ მიმართულებას, თუ სად, რომელ სახელმწიფო ინსტანციაში შეძლებს საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებას. ლტოლვილთა სტატუსის მაძიებლები, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (სირია, პალესტინა, ერაყი, ირანი) და აფრიკის ქვეყნებიდან (ეთიოპია) მყავდა, რამდენიმე ლტოლვილი – სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. სამშობლოს დატოვების მიზეზებს შორის, ძირითადად, ასახელებენ: ომს, დევნას პოლიტიკური შეხედულებების გამო, ოჯახურ ძალადობას. ემოციურად ეს ისტორიები ძალიან რთული მოსასმენია. ევროკავშირის ქვეყნებში საერთო ლტოლვილთა პოლიტიკა მრავალსაფეხურიან, ბიუროკრატიულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად ლტოლვილთა უფლებების დარღვევით, მათთვის არაადეკვატური განაჩენის გამოტანით სრულდება.

– რეგენსბურგი გერმანიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მისი შუასაუკუნეების ისტორიული ნაწილი, 2006 წელს, იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. შენთვის რა არის განსაკუთრებული და შთამბეჭდავი ამ ქალაქში?

– რეგენსბურგი, მთელ გერმანიაში, თავისი 2000-წლიანი ისტორიით, ერთ-ერთი უძველესი და კარგად შემონახული შუასაუკუნოვანი ქალაქია: მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქის ძველი ნაწილი და შუასაუკუნეების არქიტექტურა თითქმის არ დაზიანებულა. აგებულია რომაელთა მიერ და თავისი ვიწრო ქუჩებითა და ქვის ხიდებით საოცრად მაგონებს იტალიის ქალაქებს. გერმანიის მთავარი ტურისტული სააგენტოს 2014 წლის მონაცემებით, რეგენსბურგი 28-ე ადგილს იკავებს გერმანიაში ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ადგილებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ რეგენსბურგი სტუდენტური ქალაქია, ქალაქის მიერ შემუშავებული ყოველწლიური კულტურული პროგრამა მაქსიმალურადაა მორგებული ახალგაზრდა თაობის ინტერესებზე. ასევე მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქალაქის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ლტოლვილთა პრობლემატიკის გადაჭრა და ემიგრანტთა გერმანულ საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაცია წარმოადგენს. რეგენსბურგი ჩემთვის, ბერლინის შემდეგ, გერმანიის იმ ქალაქთა მცირე რიცხვს მიეკუთვნება, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ ცხოვრობენ გერმანელი ახალგაზრდები?

– თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს. როგორც გითხარით, სწავლის პარალელურად ვმუშაობ საჭირო დანახარჯების დასაფარად. არდადეგებზე კი სასწავლო პრაქტიკით ვარ დაკავებული. და თუ მაინც გამოვძებნი თავისუფალ დროს, ვხვდები მეგობრებს და აუცილებლად ვამზადებთ რაიმე ქართულ კერძს, ვესწრებით მუსიკალურ ფესტივალს ან გავდივართ ქალაქგარეთ ორიოდე დღით. მაგისტრატურის დამთავრებამდე ორი სემესტრი დამრჩა, მომდევნო არდადეგებზე ბერლინში საინტერესო სასწავლო პრაქტიკები მელოდება. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ კი მსურს დისერტაციის დაცვა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში.

გერმანელ ახალგაზრდებზე შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან მონდომებული, საოცრად მოწესრიგებული და მიზანსწრაფულები არიან. აქტიურად მისდევენ სპორტს. დრო მკაცრად აქვთ გადანაწილებული ცხოვრებისეულ და პროფესიულ პრიორიტეტებზე. 18 წლიდან მშობლიურ სახლს ტოვებენ და დამოუკიდებლად ცხოვრობენ. გერმანელ სტუდენტთა თითქმის 60% მშობლების დაფინანსებით და მორალური მხარდაჭერით იღებს განათლებას და აღწევს კარიერულ წარმატებას. ვთვლი, რომ ემოციურად ძალიან ცივი, საკუთარ წრეში ჩაკეტილი საზოგადოებაა და უცხო კულტურების მიმართ ნაკლებად გახსნილები, ხშირ შემთხვევაში სკეპტიკურებიც კი არიან. გერმანიის საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდიანრე, პროფესიად ირჩევენ მიმართულებებს ეკონომიკის, კერძოდ სავტომობილო ინდუსტრიის, ინფორმატიკისა და პედაგოგიკის სფეროებიდან.

– საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად, შესაძლოა, ახალგაზრდებს გზა ადვილად აერიოთ. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე ძნელია. რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ?

– საზღვარგარეთ სწავლა საკმაოდ რთულია, მაგრამ არა – შეუძლებელი. ძნელია „უცხოელობა“, რაც არ უნდა ინტეგრირებული იყო საზოგადოებაში, ევროპა სრულყოფილ მოქალაქედ მაინც არ აღგიქვამს. ნუ შეუშინდებიან სირთულეებს, სწორედ მათი გადალახვის შემდეგ ვიზრდებით პიროვნულად, ადამიანურად და პროფესიულად. ძალა საკუთარი თავის რწმენაშია. გერმანიაში ჩამოსვლის მსურველებს კი ვურჩევ, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, მოიძიონ გერმანული პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული პროფილის ფონდები. მსგავსი ფონდები უზრუნველყოფენ ყველანაირი საჭირო დოკუმენტაციის მოგვარებას და სრულყოფილ დაფინანსებას. ალბათ არც არის საჭირო იმის თქმა, რომ წარმატების მისაღწევად და ახალ გარემოში თავის დასამკვიდრებლად უცხო ენის უმაღლეს დონეზე ფლობა მთავარი წინაპირობაა.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ის ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს, როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს?

– სიტყვა „სამშობლო“ ჩემთვის ემოციურად ძალიან ღრმა და ყოველი ქართულის მომცველი ცნებაა. საქართველო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და კონტინენტის „აზიურ“ ნაწილს ესაზღვრება, ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზს წარმოადგენს. ვფიქრობ, ევროპისთვის სწორედ ამაშია ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალობა. მეორე მხრივ, სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველო ევროპეიზაციის ეპოქაშიც რჩება სამხრეთ კავკასიის რეგიონულ პოლუსად, სადაც შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის უამრავი საგარეო პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა ხდება. ჩვენი ქვეყნის დასავლურ მისწრაფებაზე საპასუხოდ ევროპა, თავის მხრივ, სამეზობლო პროგრამას გვთავაზობს, სადაც მიმღები ქვეყნის როლში ვართ. მიმღები ქვეყნების დამოკიდებული მდგომარეობა დონორს, ამ შემთხვევაში ევროკავშირს, საბოლოო სიტყვის თქმის საშუალებას აძლევს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობა ევროპასთან შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია თანამშრომლობა მიზნების და შეხედულებების ურთიერთპატივისცემაზე იყოს აგებული. მიმაჩნია, რომ საკუთარ, ქართულ ღირებულებებს ევროპული ინოვაციური იდეები უნდა მოვარგოთ და არა პირიქით. ამით ჩვენს თვითმყოფადობასაც შევინარუნებთ და ევროპაში ინტეგრაციასაც წარმატებით შევძლებთ.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

UNICEF

საკანონმდებლო ცვლილებები ბავშვთა სიღარიბისა და კვების დეფიციტის მაღალი მაჩვენებლის შესამცირებლად

ლალი ჯელაძე

ბავშვის უფლებათა დაცვის წლის ფარგლებში, სოციალური დაცვის სისტემასა და ფქვილის სავალდებულო ფორტიფაკაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები, 25 სექტემბერს, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საკომიტეტო მოსმენაზე განიხილეს. საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენლები.

გაეროს ბავშვთა ფონდი მთავრობას სოციალური დაცვის სისტემის გადასინჯვაში ეხმარება, რომ ამ სისტემამ უკეთ გაითვალისწინოს ბავშვთა ინტერესები. ამ მიზნით, იუნისეფის რეკომენდაციაა ფულადი შეღავათის შემოღება ყველა ბავშვისთვის, გარდა იმ ბავშვებისა, რომელთაც ეს არ სჭირდებათ. აღნიშნული შეღავათი უზრუნველყოფს, რომ ბავშვები დანარჩენ მოსახლეობაზე უფრო ღარიბნი მაინც არ იყვნენ. სოციალური დაცვის ახალი სისტემა უკეთ განსაზღვრავს და მოიცავს უღარიბეს ოჯახებსა და ბავშვებს, რადგან მიმდინარეობს რისკის წინაშე მყოფი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიის გადასინჯვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იუნისეფის მხარდაჭერით.

საქართველოს მოსახლეობაში კვების მწვავე დეფიციტით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად, იუნისეფის რეკომენდაციაა ხორბლის ფქვილის რკინითა და ფოლიუმის მჟავით სავალდებულო ფორტიფიკაციის შემოღება. კონკრეტულად, განიხილება ცვლილებები კანონში „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“. ივლისში იუნისეფის მიერ ჩატარებულმა ხარჯთსარგებლიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ ფქვილის ფორტიფიცირების პროცესი არ იწვევს პურის გაძვირებას და ყველაზე ეკონომიური და ეფექტური მეთოდია კვების დეფიციტით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად.

არსებული სოციალური დაცვის სისტემა ვერ ითვალისწინებს ბავშვთა ინტერესებს და ბავშვიანი ოჯახები, მეტი ალბათობით, არიან უფრო ღარიბები, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები. 2013 წელს ხანდაზმულობის პენსიების ზრდამ და მიზნობრივი სოციალური დახმარების გაორმაგებამ შეამცირა, ზოგადად, მოსახლეობის და პენსიონერების სიღარიბის დონე. თუმცა, ამან ნაკლები ზეგავლენა მოახდინა იმ 50 000 ბავშვზე, რომელიც დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს და 225 000 ბავშვზე, რომელიც დღეში 4.5 ლარზე ნაკლებზე ცხოვრობს. ბავშვების შემთხვევაში, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 50%-ით აღემატება, ზოგადად, მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელს, ხოლო ბავშვთა სიღარიბის ეროვნული მაჩვენებელი 25%-დან 27%-მდე გაიზარდა ბოლო ორი წლის განმავლობაში.

საქართველოში 500 000-ზე მეტი ქალი და ბავშვი განიცდის კვების დეფიციტს რაიმე ფორმით. ყოველწლიურად ხუთ წლამდე ასაკის თითქმის 300-მდე ბავშვი იღუპება ორსულთა ანემიის, დაბადებისას მცირეწონიანობის, ფოლიუმის მჟავის ნაკლებობასთან ასოცირებული თანდაყოლილი ანომალიების და არასრულფასოვანი ძუძუთი კვების გამო. ნუტრიციული დეფიციტი (ორსულთა ანემია, სუბოპტიმალური ძუძუთი კვება, დაბადებისას მცირეწონიანობა, არასაკმარისი წონა, ნერვული მილის დეფექტები, ზრდაში ჩამორჩენა, რკინის დეფიციტით გამოწვეული ანემია ხუთ წლამდე ბავშვებში, რკინის დეფიციტით გამოწვეული ანემია ზრდასრულებში) ორსულ ქალებსა და ბავშვებში არა მხოლოდ მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ახდენს გავლენას, არამედ, ასევე, მათ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, აკადემიურ მოსწრებაზე, შრომის ნაყოფიერებასა და ეკონომიკურ ზრდაზე. ნუტრიციული დეფიციტის შესამცირებლად გამოყენებულ ნაცად, დაბალხარჯიან ზომებს მიეკუთვნება: დედების და მოზარდი გოგონების ნუტრიციული ნუტრიციის გაუმჯობესება; ვიტამინებისა და მიკროელემენტების სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფა; ექსკლუზიურად ძუძუთი კვების პოპულარიზაცია სიცოცხლის პირველი 6 თვის განმავლობაში და შემდეგ – დროული, უსაფრთხო, ადეკვატური და მაღალხარისხიანი საკვები დანამატებით უზრუნველყოფა; ფქვილის ფორტიფიკაცია; მოსახლეობის ინფორმირება სწორი კვების შესახებ.

ქართულ-აფრიკული შერკინება

საქართველოში სტუმრად იმყოფება სამხრეთ აფრიკის კლუბ „ა-ფე-ეს“-ის 14 და 16-წლამდელთა გუნდები, რომლებიც ჩრდილოეთ კონცხისა და ჰაუტენხის (ყოფილი ტრანსვაალის) მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. მათ ჩვენგან 15 და 17-წლამდელთა გუნდები დაუხვდებიან – როგორც ეროვნული, ასევე დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებები.

ტურნეს ფარგლებში სამი საატესტო დღე შედის. პირველი და მესამე დღის შეხვედრები თბილისში, „შევარდენზე“ იგეგმება, ერთი დღით კი ქუთაისს ესტუმრნენ.

„შევარდენზე“ თავდაპირველად სტუმრებს – 14-წლამდელებს ჩვენი 15-წლამდელთა ნაკრები გაეჯიბრა და 19:7 აჯობა, აღმოსავლეთის 17-იანებმა კი აფრიკელ 16-იანებს 34:5 მოუგეს.

ქუთაისში დასავლეთის 15-წლამდელები ახლოს იყვნენ სტუმართა 14-იანებთან მოგებასთან, მაგრამ აფრიკელებმა ბოლო წუთზე დადებული ლელოთი ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ზუსტად დარტყმული გარდასახვით კი 19:17 მოიგეს. დასავლეთ საქართველოს რევანში, იმავე დღეს, 17-წლამდელთა ნაკრებმა მოუტანა, რომელმაც მეტოქის 16-იანები 15:0 დაამარცხა.

ასეთი ტესტ-მატჩები დიდი სკოლაა ჩვენი მოზარდებისთვის, რომლებიც მოკლებულნი არიან საერთაშორისო მატჩების გამოცდილებას.

ჭიდაობა ქართული

ამ დღეებში ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ქართულ ჭიდაობაში სახელოვანი მწვრთნელის – **ვასილ გაროზაშვილის** ხსოვნას. ეს კახელი კაცი, რომელიც არხილოსკარში დაიბადა, წლების განმავლობაში აჭარაში იღვწოდა ქართული ჭიდაობის განვითარებისთვის და უკვე მეოთხე წელიწადია, საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია იქ მისი ხსოვნის ტურნირს ატარებს.

წლევანდელ შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის – როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან 9 გუნდი მონაწილეობდა. თუმცა, მათ შორის არ იყვნენ ქართული ჭიდაობის აღიარებული რეგიონები – კახეთი და ქართლი. ქართლს მხოლოდ ქარელი წარმოადგენდა და ორი ოქროც დაისაკუთრა. კახელთა არყოფნაში დასავლეთელებმა იმარჯვეს და მედლების უმეტესობა დაისაკუთრეს.

ხელვაჩაურის ახალგახსნილ სასპორტო სკოლაში, რომელიც მალევე გახდა იქაური სპორტის ერთ-ერთი მექა, საინტერესო, დაძაბული პაექრობები ჩატარდა. მედალოსნები თასებით, მედლებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: **გურამ ზაქუტაშვილი** (55 კგ, ქარელი), **ივერი წასიძე** (62) და **გიორგი ხმელიძე** (68, ორივე - ქუთაისი), **ზურაბ ლომიძე** (75, ზესტაფონი), **გიორგი მულაძე** (85, ქარელი) და **ბაქარ კუხიანიძე** (+90, ქუთაისი).

საჭადრაკო დუეტები

სამხრეთაფრიკულ დურბანში დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოდიოდა: **ნიკოლოზ კაჭარავა** – 10-წლიანებში, **გიორგი სიბაშვილი** – 16-იანებში. სამწუხაროდ, მათ წარუმატებლად იასპარეზეს და მედლები ვერ მოიპოვეს. კაჭარავამ 8 ქულა დააგროვა და მერვე ადგილზე გავიდა, სიბაშვილი კი – 6.5-ით 21-ე იყო.

სამაგიეროდ, ჩვენებმა წარმატებული სტარტი აიღეს ინდურ პუნეში დაწყებულ ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ასევე დუეტით გამოვდივართ. გოგონებში მეორე ნომრად განთეესილმა **მერი არაბიძემ**, პირველ ტურში, რუს **კარინა აზიმოვას** მოუგო, ბიჭებში კი **ნიკოლოზ ბერაძემ** ინდოელი **მალგა სუდარშანი** დაამარცხა.

ფაჟავას წინსვლა

თურქულ იზმირში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში, სადაც ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენი **სალომე ფაჟავა** უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ მის გამოსვლაში გარკვეული პროგრესი მაინც იყო. ჩვენებურმა მრავალჭიდში 49.949 ქულა დააგროვა, რაც მე-13 შედეგი აღმოჩნდა. ამით მან ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა, სადაც არცთუ ურიგოდ იასპარეზა – 67.182 ქულა დააგროვა, რაც ისევ მე-13 მაჩვენებელი გამოდგა და ამ საფეხურზე დაასრულა კიდეც გამოსვლა მსოფლიოზე. პლანეტის პირველობაზე ფინალში ის შარშანაც გავიდა – მე-18 შედეგით, საბოლოოდ კი მე-20-ზე დარჩა, წლეულს კი მთელი 7 ადგილით წაიწია წინ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მსოფლიოს შარშანდელი პირველობის შემდეგ მან ტრავმა მიიღო და დიდი ხანი არაა, რაც ვარჯიში განაახლა. ამავე რანგის ტურნირზე ის გაისადაც ოცეულში თუ მოხვდება, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზიასაც მიიღებს. გაისად ის ბაქოშიც იასპარეზებს ევროპის პირველ ოლიმპიურ თამაშებში, რომლის საგზურიც შარშან დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონატზე.

ყველასთვის ხელმისაწვდომი გარემო

6 ოქტომბერს, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ინკლუზიური რთველი მოეწყო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია საქართველოში მცხოვრები სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია – სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების განათლების მიღების ხელშეწყობა, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, აქტიური მოქალაქეობის, შემოქმედებითი უნარების, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომით, ორგანიზაციამ „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ და კომპანიამ „შატო მუხრანი“ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ერთდღიანი შემეცნებითი ტური განახორციელა.

ბენეფიციარებისათვის შესაძლებელი გახდა მონაწილეობა რთველსა და სხვადასხვა სახის ქართულ ტრადიციულ საქმიანობაში, როგორიცაა: ჩურჩხელას ამოვლება და ღვინოების დეგუსტაცია.

ელენე ოთარაშვილი, „შატო მუხრანის“ ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი: *„კომპანია „შატო მუხრანი“ ხშირად აწყობს მსგავს ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. დღევანდელი აქტივობა ორგანიზაცია „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ ერთად დაიგეგმა. მოვაწყვეთ ერთგვარი ინკლუზიური რთველი, სადაც შშმ პირებთან ერთად ჩვენმა თანამშრომლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება მიზნად ისახავს შშმ პირთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. ისინი დღეს, რთველთან ერთად, სხვადასხვა აქტივობებშიც მონაწილეობდნენ. ჩვენი კარი მათთვის მუდამ ღიაა“.*

გიორგი ალავიძე, ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ ბენეფიციარი: *„ჩვენს მეგობრებთან ერთად ჩამოვედით „შატო მუხრანში“ და მონაწილეობა მივიღეთ რთველში. ეს ძალიან საინტერესო და პოზიტიური დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში. ყოველი ასეთი აქტივობა ჩვენთვის სასიამოვნოდ მოსაგონარია. დიდი მადლობა ყველას ასეთი მშვენიერი დღის მოწყობისთვის“.*

გიორგი თაიაშვილი, ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ ბენეფიციარი: *„დავათვალიერეთ ღვინის ქარხნები, გავეცანით ყურძნის სხვადასხვა ჯიშებს, შემდეგ რთველშიც მივიღეთ მონაწილეობა. დღის ბოლოს ჩვენთვის ვახშამი გამართეს. ძალიან საინტერესო დღე იყო. დღევანდელი შთაბეჭდილებები დიდხანს გამყვება და იმედი მაქვს, ასეთი დღეები კიდევ ბევრი გვექნება“.*

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები
ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძლები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

„დიოგენე“ გაკვეთილებზე

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

„რა არის რა“

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK